საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიანიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 15 აგვისტო. 2019 წ. №163 (8829) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი



აფხაზეთის ომის დაწყებიდან 27 წელი გავიდა

საომარი მოქმედებები აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო, საქართველოს შეიარაღებული ძალები ტერიტორიაზე რკინიგზის დაცვის მიზნით შევიდნენ. ომის ძირითადი ფაზა 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა და 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით დასრულდა. სოხუმის დაცემას წინ უძღოდა რუსეთის მონაწილეობით მხარეებს შორის მოლაპარაკებები.

27 ივლისს ხელი მოეწერა სოჭის ხელშეკრულებას, რომელიც აფხაზურმა მხარემ ცალმხრივად დაარღვია, როდესაც ქართულ მხარეს აფხაზეთიდან გამოყვანილი ჰყავდა მძიმე სამხედრო ტექნიკა. ომის შედეგად, აფხაზეთის ტერიტორიის დატოვება 300 ათასამდე ადამიანს მოუწია. საომარი მოქმედებების შედეგად, ქართული მხრიდან, ჯარისკაცებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის სახით, 10 ათასამდე ადამიანი დაიღუპა.

მამუკა ბახტაძე: ქართველებსა და აფხაზებს გვაქვს საერთო ფესვები და ჩვენი მომავალიც უნდა იყოს საერთო

ქართველებსა და აფხაზებს გვაქვს საერთო ფესვები და ჩვენი მომავალიც უნდა იყოს საერთო, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ბაკურიანში, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. მთავრობის მეთაური აფხაზეთის ომის 27 წლისთავს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ 14 აგვისტო არის უმძიმესი დღე საქართველოს უახლეს ისტორიაში და უდიდესი ტკივილა თითოეული მოქალაქისთვის.

„დღეს არის 14 აგვისტო, უმძიმესი დღე ჩვენს უახლოეს ისტორიაში, დიდი ტკივილი და რა თქმა უნდა, ამ უდიდესი ტკივილით ცხოვრობს საქართველოს თითოეული მოქალაქე. ქართველებს და აფხაზებს, ჩვენ გვაქვს საერთო ფესვები და აქედან გამომდინარე, ჩვენი მომავალიც უნდა იყოს საერთო. ჩვენ ერთობლივი ძალებით უნდა დავძლიოთ ეს ტკივილი. დარწმუნებული ვარ, მშვიდობითა და განვითარებით აუცილებლად მივაღწევთ ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან გაერთიანებასა და საერთო წარმატებული ქვეყნის შექმნას. მშვიდობას და განვითარებას ალტერნატივა არ აქვს“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.

...ნყურვილის და შიმშილის ცეცხლი გვიკიდია!

გვმართებს დიდი გონიერება

მე კარგად მესმის ქვეყნისთვის, რას ნიშნავს კარგად მოფიქრებული, პატიოსან ქმედებებზე დაფუძნებული ბიზნესი, ამიტომ მის წინააღმდეგ ახელფეხებული როდი ვარ, პირიქით, ბევრი ქვეყნის ძლიერება დიდ ბიზნესზეა მიბმული და ამ მხრივ არც ჩვენ უნდა ვიყოთ გამონაკლისი.

ვფიქრობ, ახლა იმის დროც დადგა, გავიხსენოთ ჩვენი რესურსები. პირველ რიგში ღვთისგან ბოძებული მიწა, ყველა სიკეთის, სიმდიდრის და ბედნიერების მომტანი, რომელსაც მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყანა შეედრება, რადგანაც სხვა ქვეყნებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს რაღაც ერთი-ორი ან სამი სახეობის სიმდიდრით, ვთქვათ ნავთობით, აირით, ძვირფასი საბადოებით, ზეთისხილით, ანანასით, ბანანით და ა.შ. საქართველოს კი მეტ-ნაკლებად მთელ ქვეყნიერებაზე არსებულ სიმდიდრეთა რესურსები გააჩნია, აქ ხარობს სოფლის მეურნეობის ყველა კულტურა, განვითარებული იყო მეცხოველეობა, რაც ახლა აგონიას განიცდის.

ბრძენმა ქართველებმა თავის დროზე წინასწარ განჭვრიტეს და შემოიტანეს სოფლის მეურნეობის ისეთი ჯიშები, როგორიცაა: სიმინდი, კარტოფილი, ჩაი, ციტრუსები, ლობიო. ამას არცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს და თუ ამას კივის კულტურას, ბულგარულ წიწაკას და სხვებს დავუმატებთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ისტორია ახლაც გრძელდება.

იხ. 5 გვ.



გვარამია ჯოჯოხეთი იყიდება!

3

არის კი ისეთი მყიდველი, ვისაც შეუძლია 70-მილიონიან ზარალში გადავარდეს?!

სუსტი ლარი სჯობს?!

რეზერვების ხარჯვით კურსს ვერ დაიჭერ!

4

ჯეფრი გედმინი:



რამდენიმე წელში მსოფლიო შეიცვლება და საქართველო ამისთვის მზად უნდა იყოს

8

მამუკა ბახტაძე: ვარ ძალიან ამაყი, რომ 2023 წელს საქართველო უმასპინძლებს მსოფლიო ჩემპიონატს!

„როგორც რიგითი ქართველი, ვარ ძალიან ამაყი, რომ საქართველო 2023 წელს უმასპინძლებს მსოფლიო ჩემპიონატს ფრისტაილში. ეს არის დიდი გამარჯვება და დიდი პასუხისმგებლობა. ამავე დროს, ეს ნიშნავს ძალიან დიდ ნდობას, რომელიც გამოგვიცხადა საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციამ. მინდა, მათ ამ ნდობისთვის დიდი მადლობა გადავუხადო. ამავე დროს, ეს ნდობა აჩვენებს, რომ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები აღიარებენ, რომ საქართველოს აქვს სწორი, ეფექტიანი და მიზანმიმართული სტრატეგია ჩვენი ზამთრის კურორტების განვითარებისთვის. რა თქმა უნდა, მხოლოდ ინფრასტრუქტურის განვითარება არ არის საკმარისი, რომ საქართველო გახდეს წარმატებული ზამთრის კურორტების ქვეყანა. ამისთვის აუცილებელია, რომ ჩვენ გავზარდოთ ცნობადობა. ძალიან მიხარია, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში ჩვენ შევძელით და ორჯერ გავზარდეთ ტურისტების რაოდენობა ჩვენს ზამთრის კურორტებზე. აქედან გამომდინარე, ჩვენი მთავრობისთვის მთის და ზამთრის კურორტების განვითარება არის ჩვენი მთავრობის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი. ეს ნიშნავს, რომ უნდა განვახორციელოთ მასშტაბური ინვესტიციები, რომ ჩვენი კურორტები იყოს მაღალი სტანდარტის“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ გუშინ ბაკურიანში.

პრემიერ-მინისტრის თქმით, კონტრაქტს ხელი ეწერება მსოფლიოს წამყვან კომპანია „დოპელმაიერ-გარავენტა ჯგუფთან“.

პრემიერის აღიარებით, აღნიშნული ინფრასტრუქტურის განვითარება ნიშნავს მეტ ტურისტს და მეტ სამუშაო ადგილს ბაკურიანში.

„ჩვენი ტერიტორიის ორი მესამედი არის მთა და ეს არის უდიდესი სიმდიდრე, რომელიც გვაქვს და მას განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ. რამდენიმე დღის წინ მე საზოგადოებას მივაწოდე ინფორმაცია, რომ ჩვენ გვაქვს უფრო ამბიციური ამოცანა და საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა გააკეთა განაცხადი, რომ ჩვენ ვუმასპინძლოთ 2025 წლის ოლიმპიადას ახალგაზრდებში. ეს არის ძალიან ამბიციური განაცხადი, რაც ნიშნავს, რომ ეს იქნება უდიდესი პასუხისმგებლობა ჩვენთვის, მაგრამ ჩვენ მზად ვართ, რომ ამ მიზანს მივაღწიოთ. საბოლოო ჯამში, 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფრისტაილში და 2025 წლის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიადა ემსახურება მთავარ მიზანს, რომ ჩვენ დავაგროვოთ გამოცდილება და ვუმასპინძლოთ ზამთრის ოლიმპიადას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამას შევძლებთ. საქართველო და ქართველი ერი ამას იმსახურებს“.

ხელისუფლების უზენაესი ამოცანაა, თავის ქვეყანას ყველაზე დიდი განსაცდელი ააცილოს!

საქართველოს ოკუპაცია დაიწყო 90-იანი წლების დასაწყისიდან და ამაზე არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს, — ამის შესახებ საქართველოა პრემიერ-მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ ჟურნალისტებს ბაკურიანში, აგვისტოს ომთან დაკავშირებით ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ განუცხადა.

მთავრობის მეთაურმა გორში 8 აგვისტოს დევნილებთან გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა, რომლებმაც საკუთარი სახლები ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში დატოვეს.

„ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა არის ის, რომ მათ შორის ის პოლიტიკური გუნდი, რომელიც დგას თქვენი ტელევიზიის უკან, ამტკიცებდა, რომ თურმე საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია დაწყებულა 2008 წელს. მე 8 აგვისტოს ვიყავი გორში და შევხვდი ჩვენს დევნილებს, რომლებიც ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში იყვნენ იძულებული, დაეტოვებინათ თავიანთი სახლ-კარი. როდის დაიწყო საქართველოს ოკუპაცია, ამაზე არ შეიძლება პოლიტიკური სპეკულაცია. ამაზე პასუხი არის ერთმნიშვნელოვანი, რომ ოკუპაცია დაიწყო 90-იანი წლების დასაწყისში. რაც შეეხება 2008 წელს, ბუნებრივია, ამისთვის რუსეთი ძალიან დიდხანს ემზადებოდა. ეს ყველაფერი იყო ძალიან ხილული. მე შემიძლია ძალიან ბევრი მაგალითი მოგიყვანოთ, როგორ მზადდებოდა ინფრასტრუქტურა, რომ ეს ინტერვენცია განხორციელებულიყო. ეს განსაცდელი ერთ დღეში ციდან არ ჩამოვარდნილა. ამისთვის ემზადებოდნენ და ჩვენ გვქონდა 90-იანი წლების ძალიან მწარე გამოცდილება“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ჟურნალისტის კითხვას, იზიარებს თუ არა მოსაზრებას, რომ ომი მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო, პრემიერმა უპასუხა, რომ მაშინდელმა ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს ომი არათუ არ აიცილა თავიდან, არამედ თავისი უპასუხისმგებლო პოლიტიკით გახადა შესაძლებელი ოკუპანტი ძალის მიერ საოკუპაციო გეგმის რეალიზაცია.

„ნებისმიერი ხელისუფლების უზენაესი ამოცანაა, რომ თავის საზოგადოებასა და ქვეყანას ყველაზე დიდი განსაცდელი ააცილოს და დაიცვას მშვიდობიანი მოქალაქეები“...

გვჭირდება ღრმაწყლოვანი პორტი, სახელმწიფო შეასრულებს ვალდებულებას!

სახელმწიფო შეასრულებს იმ ვალდებულებას, **რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ტრანზიტული პოტენციალის განვითარებისთვის, ანუ ღრმაწყლოვანი პორტი უნდა აშენდეს,** — ასე უპასუხა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ჟურნალისტების კითხვას, იგეგმება თუ არა ანაკლიის კონსორციუმისთვის ვალდებულებების შესრულების ვადის კიდევ უფრო გახანგრძლივება.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ მშენებელთან დაკავშირებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ელოდება კონსორციუმის პასუხს, ჩატარდა კონკურსიც, რომელში გამარჯვებულ კომპანიას ექნება ვალდებულება, ააშენოს პორტი იმ ვადებში, რომელიც აუცილებელია.

„ამასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია ფინანსური საკითხების დასრულება, რათა თითოეულ ჩვენგანს და კონსორციუმს ჰქონდეს განცდა, რომ ფინანსური რესურსი მობილიზებულია პორტის მშენებლობის დაწყებისა და გაცხადებულ ვადებში დასრულებისთვის. ჩვენ მაქსიმალურ მხარდაჭერას გავაკეთებთ ანაკლიის კონსორციუმისადმი, რომ ეს პროექტი დასრულდეს წარმატებით. ამ პროექტის ასეთ სტატუსში ყოფნა სამუდამოდ ვერ გაგრძელდება. ეს აზარალებს ქვეყანას, ვინაიდან ჩვენ გვჭირდება ღრმაწყლოვანი პორტი, მაგრამ ამავდროულად, სრული მხარდაჭერა გვაქვს გამოცხადებული ანაკლიის კონსორციუმის მიმართ და მაქვს იმედი, რომ კონსორციუმი შეძლებს ყველა იმ პირობის დაკმაყოფილებას, რომელიც საკუთარ თავზე აიღო“, — აღნიშნა პრემიერმა.



ვერავინ გაიგებს ვისი ვიოლინო ვის როიალშია!..

საინტერესოა, რატომ იბრძოდა ქიბარ ხალვაში „რუსთავი-2“-ის დასაბრუნებლად, თუკი სულ რაღაც 25 დღეში არხის გაყიდვას გადაწყვეტდა? თავის დროზე ქიბარ ხალვაში ირწმუნებოდა, რომ ამ არხის გაყიდვას არ აპირებდა, თუმცა, იმავდროულად, აკონკრეტებდა, რომ იმასაც არ გეგმავდა, მთელი ცხოვრება ტელევიზიის მფლობელი ყოფილიყო. რატომ დაჩქარდა პროცესები და 4-წლიანი სამართლებრივი ბრძოლის შემდეგ რატომ გადაწყვიტა „რუსთავი-2“-ისგან სასწრაფოდ ჩამოცილება? ნუთუ იმის გამო, რომ ამ არხს 70-მილიონიანი დავალიანება დაუგროვდა და კრიზისიდან გამოსაყვანად მისი ფინანსური შესაძლებლობები საკმარისი არ არის? იქნებ, ქიბარ ხალვაშის გადაწყვეტილებაში პოლიტიკური მიზეზები გამოსჭვივის? რა კავშირი აქვს ამ საქმესთან ეროსი კიწმარიშვილის ქვრივს, რომელიც ასევე ითხოვს მეუღლის 30%-იან წილს ამ ტელეკომპანიაში?

ქიბარ ხალვაშის გადაწყვეტილება შეუვალია. იგი სულ რაღაც ერთკვირიან ვადაში გეგმავს აუქციონის წესით ტელეკომპანიის წილების დაჩქარებულად გასხვისებას იმაზე, ვინც ყველაზე მაღალ ფასს გადაუხდის და საბანკო გარანტიის სახით მილიონ დოლარს წარმოადგენს. ერთადერთი, ვისთანაც „რუსთავი-2“-ის გაყიდვაზე საუბარს არ აპირებს, სააკაშვილია. ხალვაში აცხადებს, რომ გვარამია ძარცვავდა „რუსთავი-2“-ს და 70-მილიონიანი დავალიანებიდან 27 მილიონი მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება ჰქონდა, არის უამრავი სხვა დავალიანებაც, თუნდაც ეგზიტპოლების ჩამტარებელი ამერიკული კომპანიის წინაშე არსებული ვალი, რომ არაფერი ვთქვათ ყველაზე უმნიშვნელო — წყლის მიმწოდებელი კომპანიის მიმართ დავალიანებაზე.

რამდენად გადაიჯაჭვა ერთმანეთთან „რუსთავი-2“ და პოლიტიკა, ამის შესახებ For.ge-ს ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე ესაუბრა.

გვარამიას ჯოჯოხეთი იყიდება!



არის კი ისეთი მყიდველი, ვისაც შეუძლია 70-მილიონიან ზარალში გადავარდეს?!

— ოპოზიცია აცხადებს, რომ ქიბარ ხალვაშის გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილის მიერაა ნაკარნახევი. კერძოდ, ბიძინამ ვერ მოითმინა და ერთ თვეში ყველა კარტი გახსნა, ახალი მფლობელის საკითხიც წინასწარ უკვე შეთანხმებულია და ქიბარ ხალვაში უკვე მეორედ აღმოჩნდა იარაღი „რუსთავი-2“-ის გასაკოტრებლად და გასაჩერებლად. რამდენად გამოსჭვივის ქიბარ ხალვაშის გადაწყვეტილებაში პოლიტიკური მიზეზები?

— ამ საქმიდან პოლიტიკის გამორიცხვა ძალიანაც რომ გვინდოდეს, შეუძლებელი იქნება. ამიტომ რა გადაწყვეტილებაც უნდა ყოფილიყო მიღებული ქიბარ ხალვაშის მიერ, ამას მაინც ექნებოდა პოლიტიკური დატვირთვა. რაც შეეხება იმას, რომ ხალვაში თავდაპირველად არ აპირებდა ამ ტელევიზიის გაყიდვას, 70 მილიონი პატარა თანხა ნამდვილად არ არის, მაგრამ ერთი რამ მაინტერესებს: კი, ხალვაში ყიდის ტელევიზიას, ეს გასაგებია, 70 მილიონი მისთვის საკმაოდ დიდი თანხაა და არ უნდა იზარალოს, მაგრამ მყიდველი ვინ არის ისეთი, რომელსაც შეუძლია, 70-მილიონიან ზარალში წავიდეს და ეს თანხა წყალში გადაყაროს? მე არ ვიცი, მედიასაშუალებებს რეკლამიდან რამხელა შემოსავალი რჩებათ, ან სარეკლამო ბაზარი რამხელაა, რომ ამით თან გადაიხადონ მიმდინარე ვალები და თან 70-მილიონიანი დავალიანება დაფარონ. თუ ვინმე კომერციული მიზნით ყიდულობს ამ ტელევიზიას, ეს ნიშნავს, რომ მან დღეს თუ არა, რამდენიმე წელიწადში მაინც ძველი თანხაც უნდა ამოიღოს და მოგებაც უნდა დარჩეს. ამ ქვეყანაში ასეთი პოლიტიკურად ნეიტრალური არც მყიდველი ჩანს, და, ამასთანავე, არც ისეთი ინვესტორი, რომელიც ნეიტრალურია და გულწრფელად ეცდება, შექმნას დამოუკიდებელი ტელევიზია.

თუ უცხოელზეა საუბარი, ისინი არათუ კომერციული მედიასაშუალებებით არ ინტერესდებიან, არამედ უბრალოდ პირდაპირი კომერციული ინვესტიციების განხორციელებაც კი უჭირთ, თანაც ამხელა თანხის ჩადება კონკრეტულ საქმეში არ უყვართ.

ლოგიკურად თუ ჩამოვყალიბდებით, თუ ვინმე ამ არხს იყიდის, მის უკან, მის განზრახვაში, დღეს თუ არა ხვალ, აუცილებლად დადგება პოლიტიკური ინტერესი. მეორე მხრივ, საინტერესოა, თუკი 70 მილიონი აქვს ადამიანს, რატომ არ შეუძლია სრულიად ახალი ტელევიზია გახსნას?! შეიძლება, მე ვცდები, არ ვიცი, რა ჯდება ასეთი ტელევიზიის შექმნა მინიმალური აპარატურით, მაგრამ დღევანდელ სატელევიზიო სივრცეს რასაც ვუყურებ, კატასტროფულად დიდი თანხა ამისთვის არ უნდა იხარჯებოდეს.

— ახალი ტელევიზიების შექმნა პრობლემა არ არის, როგორც ამბობენ, დამატებით კიდევ ორი ახალი არხი გაიხსნება, რომლებიც 2020 წლისთვის იქნება მზად, მაგრამ აქ ერთი საკითხია, ვინმეს მოსწონს თუ არა, „რუსთავი-2“-ში საკმაოდ ძლიერი ინტელექტუალური კოლექტივია, რომლის ჩანაცვლებაც იოლი არ იქნება. იქნებ, ამ კადრის გამოყენებაშია განსაკუთრებული მიზიდულობა?

— „რუსთავი-2“-ის კოლექტივი კომპეტენტური და პროფესიონალურია და ეს აშკარაა, მაგრამ „რუსთავი-2“-ის კოლექტივი, ასევე, პოლიტიკურად ანგაჟირებულია. ამიტომ გაურკვეველია, ისურვებენ თუ არა ისინი ნეიტრალურ ტელევიზიაში მუშაობას. გარდა ამისა, თავად გვარამია აანონსებდა, რომ თვითონ ქმნიდა ტელევიზიას. ცხადია, მის მიერ შექმნილი ტელევიზია იქნება „ნაციონალური“ ტელევიზია. ეს კოლექტივი „ნაციონალურია“, როგორც ამბობენ, მათ კატასტროფული თანხები ჰქონდათ, ყოველ შემთხვევაში, „რუსთავი-2“-ის ამჟამინდელმა გენერალურმა დირექტორმა აღნიშნა, 100 ათასებს ღებულობდნენ. თუკი იდეოლოგიურად „ნაცმოძრაობის“ მომხრე იყო ის კოლექტივი, ისინი ადგებიან და გვარამიასთან წავლენ, ბოლოს და ბოლოს, ერთი წელი სრულიად უხელფასოდ იმუშავებენ. მე ასე მწამს, რომ იდეოლოგიის მქონე ხალხი გარკვეული პერიოდი გაიჭირვებს და უხელფასოდაც იმუშავებს, ან მინიმალურ ხელფასს დასჯერდება. ამ კოლექტივის პრობლემა ამით მოიხსნება. ასეა თუ ისე, ის, ვინც 70 მილიონს იხდის, ამ ხალხს ხელფასებსაც გადაუხდის და ამ კოლექტივს დაიტოვებს კიდეც, მაგრამ, თუ ეს კოლექტივი იდეურად ნაციონალიზებულია, მაშინ ისინი წავლენ „ნაციონალების“ ტელევიზიაში.

ახლა გაურკვეველი რჩება, ვინ იყიდის „რუსთავი-2“-ს. ვინც იყიდის, ის, დღეს თუ არა, ხვალ ან ზეგ პოლიტიკურად ანგაჟირებული იქნება. თავისთავად, პოლიტიკურად ანგაჟირება იმდენად დიდი პრობლემა არ არის, თუ ეს არ იქნა სახელისუფლებო ანგაჟირება. თუ ხელისუფლებამ მედიასივრცის მონოპოლიზება მოახდინა, ეს ნამდვილად პრობლემა იქნება და არა ის, რომ ხელისუფლებას თავისი ტელევიზია აქვს და თავის პროპაგანდას ეწევა.

— ნიკა გვარამია კორუფციაში მის დადანაშაულებას წითელი ხაზების გადაკვეთას უწოდებს. მისი თქმით, მან დაამსხვრია სტერეოტიპი, რომ შეიძლება იყო კარგი ტიპი, მაგრამ არ იპარავდე. ამის მიუხედავად, პაატა სალია აცხადებს, რომ„რუსთავი- 2“-ში წლების განმავლობაში მეორე მხარის სასარგებლოდ იდებოდა ხელშეკრულებები და მიზანმიმართულად კოტრდებოდა ეს კომპანია. თქვენი შინაგანი რწმენა როგორია — გვარამია ამ საქმეში უმწიკვლოა, თუ ფულისკენ მისი სწრაფვა შეინიშნება?

— გვარამიასადმი ჩემი ნდობის ხარისხი ნულზე დაბალია, რადგან გვარამია ჩვენ გვახსოვს არა მარტო „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის პოსტზე, არამედ როგორც პროკურორი და ყალბი გადაცემების ავტორი — „მოდელირებული ქრონიკა“. ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხალვაშისადმი ნდობა მაღალია. გვარამიას განცხადებას არ ვენდობი, მაგრამ, ასევე, არ ვენდობი ქიბარ ხალვაშის განცხადებას. რომელი რას წარმოადგენს და რომელი ცრუობს, აქ იურისტობაც შეიძლება არ იყოს იმდენად საჭირო, ფაქტები უნდა ვიცოდეთ.

„რუსთავი-2“-ის ფინანსები ისეთი სფეროა, რომლის დოკუმენტაციაზეც წარმოდგენა არ გვაქვს. არის ასეთი მომენტები, როდესაც განგებ ხდება ამა თუ იმ კომერციული ობიექტის გაკოტრება. ამ კონკრეტულ ტელევიზიაში რა ხდებოდა, არ ვიცი, მაგრამ სახელმწიფო ობიექტები ამ 30 წლის განმავლობაში ძირითადად ასე გადადიოდა პირად საკუთრებაში შედიოდა მენეჯმენტი, რომელიც მას აკოტრებდა და შემდეგ კაპიკებში თავადვე ისაკუთრებდა. რა მოხდა „რუსთავი-2“-თან მიმართებით, ამას სერიოზული ძიება სჭირდება, არ გამოვრიცხავ, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ „რუსთავი-2“-ის მიზანმიმართული გაკოტრება მოხდა.

— რომან გოცირიძეს თუ დავესესხებით, ქიბარი გამოიყენეს, როგორც მავრი, მან თავისი საქმე გააკეთა და შეუძლია, წავიდეს! შეიძლება დავასკვნათ, რომ ქიბარ ხალვაშს არც აინტერესებდა „რუსთავი-2“ და, უბრალოდ, უკვე მეორედ აღმოჩნდა ამ როლში „რუსთავი-2“-თან მიმართებით?

— თავის დროზე ქიბარ ხალვაშის მხრიდან ტელევიზიისადმი სურვილი ნულის ტოლი იყო, მაგრამ მაშინ „ნაცმოძრაობას“ იგი სჭირდებოდა და ხალვაშიც, როგორც ყველაზე სანდო ფიგურა, დასჭირდათ „ნაციონალებს“. იმ პერიოდში ოქრუაშვილი აგვარებდა „ნაციონალებისთვის“ ამ საკითხს და მოიძებნა ხალვაში. დარწმუნებული ვარ, არც მაშინ გადაუხდია მას ფული, ან კიდევ იმდენი არ გადაუხდია, რამდენიც საჭირო იყო. შეიძლება რაღაც მაინც შეაწერეს, როგორც ხდებოდა „ნაციონალების“ დროს. იგივე ვარიანტი განმეორდა დღესაც. როგორც ჩანს, მას ჰქონდა საშუალება, თანაც, შესაძლოა, დღევანდელი ხელისუფლებისგანაც მიიღო თანხმობა, წამოიწყო ეს დავა და მოიგო კიდეც საქმე. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ „ნაცმოძრაობამ“ და სხვებმა სტრასბურგის ტენდენციური გადაწყვეტილების შესახებ და, მით უმეტეს, იმაზე, რომ სტრასბურგი ვიღაცამ იყიდა, ეს აბსურდულად მიმაჩნია. მეტსაც გეტყვით, ასეთი განცხადებები ანტიდასავლური მგონია. თუ სტრასბურგშიც არ არის სამართალი, აგერ, გვეხვეწება რუსეთი და დავრჩეთ რუსეთში. როგორც ჩანს, არსებობდა საამისო ფაქტობრივი მასალა და არგუმენტები ჰქონდა ქიბარ ხალვაშს და მან მიიღო ეს ტელევიზია საკუთრებაში. მინიმუმ, თუ რამე ჰქონდა დანახარჯი, ამ ყველაფერს ახლა ამ ტელევიზიიდან ამოიღებს. დიახ, ხალვაში ერთხელაც შემთხვევით იყო ჩართული „რუსთავი-2“-ის საქმეში და, როგორც ჩანს, მეორედაც ჩაერთო. ესეც არ არის სიახლე ქართული პოლიტიკისთვის.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

სააპელაციო სასამართლომ საძაგლიშვილის საჩივარი დაუშვებლად სცნო

თბილისის სააპელაციო სასამართლომ „რუსთავი-2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას ადვოკატის დიმიტრი საძაგლიშვილის სააპელაციო საჩივარი, გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის დარღვევის გამო, დაუშვებლად ცნო.

„სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ შეამოწმა საჩივრის შესაბამისობა დასაშვებობისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან და სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლით დაადგინა, რომ ბრალდებულ ნიკა გვარამიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილია 2019 წლის 11 აგვისტოს 01:30 საათზე და შესაბამისად, მისი სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრების 48-საათიანი ვადა ამოიწურა 2019 წლის 13 აგვისტოს 01 საათსა 30 წუთზე. ბრალდებულ ნიკა გვარამიას ინტერესების დამცველი ადვოკატის დიმიტრი საძაგლიშვილის მიერ განჩინების გამომტან თბილისის საქალაქო სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2019 წლის 13 აგვისტოს 17 საათზე და 39 წუთზე, ანუ გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილი 48-საათიანი ვადის გასვლის შემდეგ, 16 საათის დაგვიანებით“, — ნათქვამია სააპელაციო სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ ბრალდებულ ნიკა გვარამიას ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

სუსტი ლარი სჯობს?!

ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემებით, ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 2.90 ნიშნულს აჭარბებს. თუმცა, არასტაბილური მოცემულობიდან გამომდინარე, არსებული მონაცემი ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს. საქართველოში, დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ალბათ, ძალზე რთულია ლარის კურსზე აქტუალური საკითხის გაშუქება. ამიტომ ინტერვიუს მთავარი თემა სწორედ ლარის გაუფასურებაა. ამ თემასთან დაკავშირებულ კითხვებს კი ეკონომიკის ექსპერტი **ნიკოლოზ მჟედლიშვილი** უპასუხებს.

რეზერვების ხარჯვით კურსს ვერ დაიჭერ!

— ბოლო პერიოდში ლარის კურსის ცვალებადობიდან გამომდინარე, ეს პროცესი მთავრობის წევრებმა სხვადასხვანაირად შეაფასეს. ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ალავიძემ ლარს „თინეიჯერი“ უწოდა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კი ის ყოველთვის მოსალოდნელ შოკად მიიჩნია. თქვენ როგორ შეაფასებთ მათ ამგვარ დამოკიდებულებას?

— ნებისმიერი მთავრობა ნებისმიერ ქვეყანაში იტყვის, რომ არაფერი ხდება. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაფერია, ზოგი ოპოზიციას გადააბრალებს. ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური თამაში, რომელშიც გასაკვირი არაფერია. ამ თემასთან დაკავშირებით სახუმარო ექსკლუზივი მინდა გითხრათ — მარგველაშვილის პრეზიდენტობის დროს, პრეზიდენტის სასახლეში, ერთ-ერთ შეხვედრაზე ბატონმა ღარიბაშვილმა რომან გოცირიძეს ღიმილიანი სახით უთხრა, თქვენ პირადად გააუფასურეთ ლარიო. შეიძლება ცოტა უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ სწორედ ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა დემოკრატიული ქვეყნისთვის და ამაში ვერაფერს ვხედავ უცნაურს. ამაზე უცნაურად შეიძლება შევაფასოთ ტრამპის ქმედებები თუ მის სოციალურ ქსელებს გადავავლებთ თვალს. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს არის თავისუფალი ქვეყნისთვის დამახასიათებელი რიტორიკა და არაფერი სხვა.

— ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაში ვიცე-პრემიერმა მაია ცქიტიშვილმა ქვეყანაში მიმდინარე პროცესი „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის ხრიკებს გადააბრალა. რამდენად შესაძლებელია, ამგვარი მოსაზრება სიმართლეს შეესაბამებოდეს?

— ის, რომ ზოგჯერ კონკრეტული საკითხის გარშემო, გარკვეულწილად, ხდება აჟოატაჟის გაძლიერება, ეს ცხადია, რადგან თითოეულ პოლიტიკურ ძალას აქვს თავისი დღის წესრიგი და ეს ძალზედ ჩვეულებრივი მოვლენაა. ვიცეპრემიერიც იტყვის, რომ ეს ფუნდამენტური პრობლემის ბრალი კი არაა, არამედ ოპოზიციური ძალა ართულებს ვითარებას. თავის მხრივ, ნაციონალები რომ ხელისუფლებაში ყოფილიყვნენ, ისინიც იმავე შინაარსის განცხადებას გააკეთებდნენ და პასუხისმგებლობას ოპიზიციას დააკისრებდნენ. შესაბამისად, ეს ყველაფერი მიდის პინგ-პონგამდე, როცა ერთმანეთს ესვრიან ფრაზებს. თუმცა, გადაბრალებების მიუხედავად, საბოლოო ჯამში, ლარის კურსს მაინც განსაზღვრავს ფუნდამენტური ეკონომიკური ფაქტორები და არა რომელიმე პოლიტიკური ძალა. ხელოვნურად მთავრობის ან ეროვნული ბანკის ჩარევა კიდევ უფრო დიდი კატასტროფის წინაშე დაგვაყენებს.

— 1 აგვისტოს ეროვნულმა ბანკმა ლარის დასტაბილურების მიზნით გაყიდა 40 მილიონი დოლარი, შეიძლება თუ არა ეს ინიციატივა ხელოვნურ ჩარევად განვიხილოთ და რამდენად ამართლებთ ამგვარ ქმედებას?

— სწორედაც რომ, ეს არის ხელოვნური ჩარევა, რომელიც არ არის გამართლებული. ძალიან ბევრი პოლიტიკოსი ამბობს, მათ შორის ოპოზიციიდანაც და მთავრობის მხრიდანაც, რომ დროა, ეროვნული ბანკი ჩაერიოს ლარის დასტაბილურებაში. თუ ხელოვნურ ჩარევაზე ვლაპარაკობთ, აქ არის სტაბილურობის მიღწევის რამდენიმე მეთოდი: პირველი არის რეზერვების დახარჯვა, რომელსაც აქვს მყისიერი ეფექტი. როცა ეროვნული ბანკი გაყიდის რაღაც დოლარის მასას, ის ხელოვნურად გაზრდის დოლარის მიწოდებას ბაზარზე და შეამცირებს დოლარის კურსს და შესაბამისად, გაზრდის ლარის კურსს. მეორე მეთოდი არის რეფინანსირების განაკვეთის გაზრდა, რომელიც შედარებით გრძელვადიან ეფექტს იძლევა. რეფინანსირების განაკვეთის გაზრდით ეროვნულ ბანკს შეუძლია ეკონომიკაში ლარის მიწოდება შეამციროს, რაც საბოლოოდ, გულისხმობს ნაკლებ ლარს და იმავე რაოდენობით დოლარს. ლოგიკურია, ამგვარმა ქმედებამ ლარის გამყარება უნდა გამოიწვიოს. თუმცა, ნებისმიერ მოვლენას აქვს თავისი უკუჩვენება. მაშინ, როდესაც ეკონომიკას ნაკლები ლარი მიეწოდება, ამით ეროვნული ბანკი ეკონომიკის განვითარებას აფერხებს. ჯერჯერობით, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, ეროვნულმა ბანკმა მხოლოდ რეზერვების ხარჯვის ხერხს მიმართა, თუმცა მე არ გამოვრიცხავ, რომ მათ რეფინანსირების განაკვეთი გაზარდონ, ინფლაციის რისკებიდან გამომდინარე. სიმართლე გითხრათ, ეროვნული ბანკის პირველადი ფუნქცია ლარის კურსის კონტროლი ნამდვილად არ არის, მათ ევალებათ ინფლაციის კონტროლი. ამ ორი ხელოვნური ჩარევიდან უპირატესობას მეორეს ვანიჭებ, რადგან ის უფრო გრძელვადიან მიზნებს ემსახურება.

ფაქტი ერთია, ჯერჯერობით მსოფლიოში ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ დაიჭირა კურსი რეზერვების დახარჯვით, უმრავლესობა გაკოტრდა. ბაზრის საწინააღმდეგოდ სვლა ყოველთვის კრახით მთავრდება. საკმარისია, გავიხსენოთ სოროსის მიერ გაუფასურებული ბრიტანული ფუნტი, მალაიზიური ვალუტა, როდესაც, სწორედაც რომ, ბაზრის წინააღმდეგ მიდიოდნენ. რეზერვები შეიძლება ერთი დღე ან ორი დღე გაყიდო, რათა მკვეთრი მატება აირიდო თავიდან, მაგრამ უსასრულოდ ამგვარი ქმედება გაუმართლებელია. საბოლოოდ შეიძლება უარესი შედეგი მივიღოთ — აღარ გვქონდეს რეზერვები და 2.9 კურსიც სანატრელი გაგვიხდეს.

მე, პირადად დიდ პრობლემას ვერ ვხედავ სუსტ ლარში თუ ის ინფლაციას არ იწვევს. მეორე მხარეც არსებობს, ვინც მოგებულია ასეთი სიტუაციით, ვისაც დოლარში აქვს შემოსავალი და ექსპორტზეა ორიენტირებული, ეს პროცესი მისაღებია. ყოველთვის არსებობს სიტუაციიდან გამომდინარე ორი მხარე, სადაც ერთი იგებს, ხოლო მეორე აგებს.

— გარდა ეკონომიკური მოვლენისა, ლარის კურსს მთელი რიგი ფსიქოლოგიური მოვლენები ახლავს თან. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია საზოგადოების განწყობა მოცემული საკითხისადმი?

— ცხოვრება სწორედ მაშინ იძენს ინტერესს, როცა რაიმე ცვლილება ხდება. ცხადია, ყველასთვის მისაღები სიტუაცია არ არსებობს და გამონაკლისი არც დღევანდელი ვითარებაა. უოლ სტრიტზე სწორედ ამ პროცესში ურთიერთდაპირისპირებული მხარის აღმნიშვნელი ძეგლი დგას. ერთი მხრივ, გვაქვს ხარის ძეგლი, რომელიც ყოველთვის საფონდო ინდექსის აწევაზე მუშაობს, ხოლო მეორე მხრივ — დათვის ძეგლი, რომელიც ამის საპირისპიროდ, დაწევაზე მუშაობს. სავსებით ლოგიკურია, რომ ნებისმიერი მოვლენის დროს, ერთი მხარე მოგებული რჩება და მეორე წაგებული. ის ვინც ხელფასს ლარში იღებს და სესხი დოლარში აქვს, ცხადია, წაგებულია, მაგრამ მეორე მხარესაც შევხედოთ. ის ვინც პენსიონერია და შვილი საზღვარგარეთიდან ფულს დოლარში უგზავნის, მისთვის სავსებით მიმზიდველია არსებული ვითარება. სწორედ, აქედან გამომდინარე, ცალსახად იმის თქმა, რომ ეს სიტუაცია ყველასთვის წამგებიანია, არ შეიძლება. ერთი ნაკლი ისაა, რომ მოსახლეობაში ეკონომიკური ცოდნა ძალიან დაბალია, ხოლო მეორე საკითხია ის, რომ პოსტსაბჭოთა ფსიქოლოგიიდან ვერ გამოვედით.

უამრავ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ქართველი ადამიანის მენტალიტეტი, რომელიც მუდამ სხვაზე გადაბრალებაზეა ორიენტირებული, არსად შემხვედრია. მთელი ცხოვრება რისკები და მისი შედეგების გათვლაა, ამიტომ თუ ვინმემ სასურველი შედეგი ვერ მიიღო, თავდაპირველად პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღოს და არა მთავრობას გადააბრალოს.

— იმოქმედა თუ არა ლარის გაუფასურებაზე 20 ივნისს მომხდარმა მოვლენამ?

— ცხადია. როცა ქვეყანაში არასტაბილურობის განცდა იქმნება, ბიზნესმენს პირველი, რაც ტვინში ერთვება, არის ის, რომ ლარი აუცილებლად გაუფასურდება. პოლიტიკური მოვლენები ნებისმიერ მომენტში მოქმედებს ლარის კურსზე. ჩვენნაირი მასშტაბის ქვეყნისთვის 20 ივნისის ღამე საკმაოდ დიდი მოვლენაა. ახლო აღმოსავლეთში რამე კონფლიქტი რომ მოხდეს, ის მაშინვე მოახდენს გავლენას ლარის კურსზე. წარსულს რომ გადავხედოთ, სუფსაში არსებული პატარა ვაგონის გადატრიალებაც კი უმნიშვნელოვანესი იყო ტრეიდერებისთვის, რადგან ისინი ყოველ დეტალს ითვლიან და შესაბამისად, ანგარიშობენ, რამდენია მიწოდება და რამდენი — მოხმარება. ნებისმიერი პოლიტიკური მოვლენა თუ განცხადება უდიდეს როლს თამაშობს ლარის კურსის დასტაბილურებაში და ნამდვილად არაა გასაკვირი, რომ საქართველოში მიმდინარე 20 ივნისის მოვლენამაც დიდი გავლენა იქონია, რადგან კიდევ ერთხელ ვამბობ. ჩვენი მასშტაბის მქონე ქვეყნისთვის ეს საკმაოდ სერიოზული ამბავი იყო. რა თქმა უნდა, გაჩნდა მოლოდინი, რომ ქვეყანაში რაღაც ცუდი ხდება და ამიტომ, ყველამ დოლარის მომარაგება დაიწყო. შედეგმაც არ დააყოვნა. ერთ-ერთ მიზეზად ლარის გაუფასურებისა ნამდვილად შეიძლება არსებული მოვლენა განვიხილოთ.

— ლარის გაუფასურების ერთ-ერთ მიზეზად პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ტურისტების ნაკადის სიმცირე დაასახელა, თუმცა ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ტურისტების რაოდენობა 2018 წლის ივლისთან შედარებით, 2019 წლის ივლისში 1%-ით არის მომატებული. თქვენ რამდენად დიდ როლს ანიჭებთ ლარის გაუფასურებაში ტურიზმის სექტორს?

— წინა პასუხიდან გამომდინარე გაგცემთ პასუხს. ერთი მხრივ, 20 ივნისის მოვლენამ გააჩინა ის მოლოდინი, რომ ტურისტების ნაკადი შემცირდებოდა და ყველამ დოლარის მომარაგება დაიწყო. მეორე მხრივ, ჩემი აზრით, ქვრივიშვილი ზედმეტად გააკრიტიკეს, უფრო სწორად, შეცდომით გაიგეს მისი განცხადება. საზოგადოებისგან ნამდვილად არ მიკვირს, რადგან ბევრმა ეკონომისტმა ვერ გაიგო ქვრივიშვილის განცხადება. მან თქვა, რომ შემცირდა ტურისტების შემოდინების ზრდის ტემპი და არა ტურისტების რაოდენობა. ლოგიკურია, ზრდის ტემპის შემცირების მიუხედავად, რაღაც ეფექტი მაინც რჩება. ის, ვინც ელოდა 1 000 000 ტურისტს, მიიღო 700 000 ტურისტი და სწორედ ეს არის დანაკარგი. თუმცა, ისიც არასწორია, რომ ამბობენ, რუსების გარდა სხვებზე უნდა გავაკეთოთ ტურისტული ორიენტაციაო. ორიენტაცია რომც გქონდეს, ეგ მალე ვერ მოხერხდება. ვისაც ახლა აქვს კრედიტი გასასტუმრებელი, მისთვის ეს განცხადება არ არის შვების მომგვრელი, რადგან ტურისტების ჩანაცვლება რთული მომენტია. გარდა ამისა, ტურისტსაც თავისი ინტერესი აქვს. ის, ვინც მიდის სვანეთში, ნამდვილად არ წავა კახეთში. რუსებისთვის მთავარ ინტერესს სწორედ ჭაჭა, ვენახი და ღვინო წარმოადგენს და სწორედ ამიტომ მიდიან კახეთში. კახეთში პორტუგალიელი და ფრანგი ტურისტი არ ჩავა, რადგან ღვინო მათ თავისიც აქვთ, ვენახებიც და მათი გული მხოლოდ აქ შხარასკენ და უშგულისკენ მიიწევს.

— დღევანდელი მთავრობის პირობებში, მაშინ, როდესაც ლარის კურსი თავის ანტირეკორდს ხსნის, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ რისი წყალობით შეინარჩუნა საკაშვილმა და მისმა გუნდმა 1.65 კურსი. თქვენი აზრით, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი „ნაციონალურ მოძრაობას“?

— ბევრი ფაქტორი შეიძლება გამოვყოთ. პირველი — ომის შემდგომი პერიოდი იყო და ამერიკის თანადგომით ოთხ მილიარდნახევარი ჰქონდა გამოყოფილი ქვეყანას. სავალუტო შემოდინებები მოდიოდა და ლარის კურსზე პოზიტიურად მოქმედებდა. მანდაც ხელოვნური დაჭერა მოხდა, შიდა რეზერვებს ხარჯავდნენ, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც რეზერვების გამოყენება აღარ ხდებოდა, კურსი მაშინვე 1.7 გახდა. მხოლოდ ორი თვე მოხერხდა ლარის სტაბილურობის შენარჩუნება და საბოლოოდ ბაზრის წინააღმდეგ წასვლამ მოიყვანა ამხელა კურსი. მე მაინც ჩემს პოზიციაზე ვარ და ვამბობ, რომ სუსტი ლარი სჯობს.

ესაუბრა
ანანო შალამბერიძე

ერთთვიანი სამუშაო სტუდენტებისთვის

საქართველოს ხუთ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა უნივერსიტეტის 10 სტუდენტი ერთი თვის განმავლობაში იმუშავებს. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, პრაქტიკანტებს ფინანსურად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება უზრუნველყოფს.

სტუდენტები თელავის, რუსთავის, ქედის, გორისა და მცხეთის მერიებში დარგობრივი სამსახურების მუშაობას გაეცნობიან და შემაჯამებელ ანგარიშებს წარადგენენ. უწყების ცნობით, პროექტის შედეგად დამხმარე თანამშრომლის სახით სარგებელს მიიღებს მუნიციპალიტეტი, სტუდენტები თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში გაიღრმავებენ, რეგიონული განვითარების სამინისტროში კი გაეცნობიან ინფორმაციას მუნიციპალიტეტების საქმიანობასთან დაკავშირებით.

...წყურვილის და შიმშილის ცეცხლი გვიკიდია!

(პირველი გვერდიდან)

თუმცა მე არ მეგულება ისტორიული წყარო, სადაც საუბარია წარსულში პურის და პურეული კულტურების შემოტანაზე, პირიქით, არქეოლოგები ნახულობენ საქართველოში ხორბლის განვითარების უტყუარ ნიშნებს უხსოვარი დროიდან და არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ყოველ შემთხვევაში სიმინდის შემოტანამდე, თითქმის ყველა მხარე, სოფელი და ოჯახი საკუთარი პურით ირჩენდა თავს მაშინაც კი, როცა მეზობელი ქვეყნების და ტომების თავდასხმებით საქართველო გაჩანაგების პირზე იყო მისული.

გვაქვს თუ არა ეს სიმდიდრე? და როგორ ვიყენებთ მას? დიახ გვაქვს, მაგრამ მისი ხალხის სამსახურში ჩასაყენებლად თითქმის არაფერი კეთდება. მოგეხსენებათ, პური ყველაზე ძვირფასი სტრატეგიული პროდუქტია, მაგრამ იგი ჩვენს ბიზნესმენებს უცხოეთიდან შემოაქვთ და საკუთარ ჯიბეს დიდ მოგებასაც მატებენ, მაშინ როცა საქართველოს, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთის ხორბლის შემომტანი ბეღელი, უზარმაზარი ტერიტორია, ჯაგნარებად არის ქცეული, ან უცხოელებზე იყიდება. შეიძლება თუ არა მათი ათვისება. პასუხი დადებითია, თუ გადავლახავთ პურის შემოტანის მონოპოლისტის, თითოოროლა მაგნატის უძღებ მადას. ამისთვის საჭიროა სახელმწიფოს, ე.ი. ხალხის ნება, რითაც საკუთარი ოლიგარქების ალაგმვის გარდა, თავიდან ავიცილებთ პურის მომწოდებელი ქვეყნის, პირველ რიგში, მოსაზღვრე რუსეთის ეკონომიკურ და ტერიტორიულ აგრესიას. მანამდე, სანამ ამას საკუთარი ხორბლით შევძლებთ, გამოვნახოთ მომწოდებელი ქვეყანა, ვინც არ გვესაზღვრება და ჩვენს ტერიტორიებს ყოველდღიურად არ ყლაპავს. ერთხანს შეიძლება ვიშიმშილოთ კიდეც, მაგრამ ამას აუცილებლად უნდა მივაღწიოთ.

საქართველოს თითქმის არ გააჩნია ნავთობის რესურსები და იგი დამოკიდებულია მეზობელი ქვეყნების გადმოგდებულ მოწყალებაზე. ყველა მეზობელი ქვეყანა, მათ შორის აზერბაიჯანიც ამ „მოწყალებას" საკუთარი კეთილდღეობისთვის იყენებს. არ კმაყოფილდება თავის დროზე ქართველთა ბედოვლათობით ხელში ჩაგდებული ისტორიული ჰერეთით და ახლა ახალი „არგუმენტებით" შემოუტია საზღვარს, პირველ რიგში, საქართველოს ერთ-ერთ უძველეს და ყველა ქართველისთვის სათაყვანო სიწმინდეს — დავითგარეჯის უნიკალურ კომპლექსს, აქაოდა, ეს კი არა, ერთ დროს თბილისიც აზერბაიჯანის კუთვნილება იყოო. ამის გასარკვევად დიდი ისტორიკოსობა არაა საჭირო. ყველასთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში ნახავთ მარტივ სინამდვილეს: ეს ტერიტორიები საქართველოს ეკუთვნოდა მისი სახელმწიფოებრიობის, ე.ი. 3000 წლის მანძილზე, მაშინ, როცა ჩვენი მეზობელი ქვეყანა თავისი არსებობის 10 საუკუნეს თუ ითვლის.

აზერბაიჯანისგან ასეთი მტრული გამოხდომები ძველია, იგი განსაკუთრებით გამწვავდა რუსეთის იმპერიის დამხობის შემდეგ, როცა ყველა ჯურის მტაცებელმა ხელი მიჰყო ჩვენი ტერიტორიების წაგლეჯა-მითვისებას. მტრების მოსათვინიერებლად ახლა რა ვიღონოთ? პირველ რიგში, გამოვნახოთ გაზის და ნავთობის სხვა მომწოდებელი, ვინც ტერიტორიულად არ გვესაზღვრება. გავიჭირვოთ, სიბნელეს და სიცივესაც გავუძლოთ, სანამ ქვეყანას არ უზრუნველვყოფთ ენერგეტიკის სხვა გზებით.

ბოლო წლებში ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებული ინტენსიურობით შეუდგა ჰიდროელექტროსადგურის ქსელის გაფართოებას. ახლა ელექტროენერგიის დეფიციტზე საუბარი თითქმის აღარ გვესმის და ეს მისასალმებელია, მაგრამ ამ დიდ საქმეს, სიბნელიდან გამოსვლის გარდა, რაღაც სხვა სიკეთეც ხომ უნდა ახლდეს? ჰესის მშენებლობას რომ ვიწყებთ, პირველ რიგში, საკუთარ მოსახლეობაზე, მის ინტერესებზე ხომ უნდა ვიფიქროთ? ხომ უნდა გვქონდეს იმის ანგარიში, რა სარგებელს მისცემს, მაგალითად, სვანეთის მოსახლეობას იქ ჰესის აშენება. ასეთი გათვლა რომ არ გვაქვს, ამიტომაც ვაწყდებით წინააღმდეგობებს თითქმის მთელ საქართველოში. როგორც იტყვიან, წელზე ფეხი უნდა დავიდგათ და არათუ საქართველო მოვამარაგოთ საკუთარი ელექტროენერგიით და თავი დავაღწიოთ მეზობელი „მეგობარი" ქვეყნების კაბალას, მათ წინაშე მათხოვრობას, არამედ შევქმნათ პირობები, რათა ისინი ჩვენ გვთხოვდნენ დახმარებას.

ჩრდილოეთის ქვეყნებს მზე ენატრებათ, მაგრამ მაინც აშენებენ კილომეტრების სიგრძის მზის სადგურებს, ჩვენ კი მზის სხივებით განებივრებულებმა ეს ვერ მოვახერხეთ. ჩვენთან წარმატებით შეიძლება ქარის სადგურების გამართვაც. ასე წვეთ-წვეთად დაგვიგროვდება ენერგია და სამოწყალოდ აღარ გვექნება გაწვდილი ხელი.

რაც შეეხება მეზობელ თურქეთს, აქ განსაკუთრებულ ურთიერთობასთან გვაქვს საქმე. ამ ქვეყანას მიტაცებული აქვს საქართველოს მთელი ტერიტორიის თითქმის მესამედი და ახლა ბათუმსა და ოზურგეთზეც აცხადებს პრეტენზიას. ამის პირველი და მთავარი მიზანია, პირში წყალი ჩავიგუბოთ და აღარ ვახსენოთ ტაო-კლარჯეთი. აგრესორმა ამას ნაწილობრივ მიაღწია, კვლავ ჩვენი ქვეყნის სიდუხჭირით, საქართველოს მოქალაქეთა მასობრივი მიგრაციით თურქეთში, გროშების მოსაპოვებლად მონური შრომით საქართველოს ჩუმი იდეოლოგიური ექსპანსიით, რომელიც ასევე მძიმე ეკონომიკას უკავშირდება.

სამარცხვინოა, სამეგრელო-გურია-აჭარის ჩაის და ციტრუსების, ქართლ-კახეთის ღვინის და ხილის, იმერეთის მწვანილ-ბოსტნეულის პატრონს, ეს პროდუქტები კაბალურ ფასად შემოჰქონდეს და საკუთარი მიწები ყამირად ჰქონდეს გადაქცეული ან ვიღაც გადამთიელზე გასაყიდად გამზადებული.

ამ მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ ერთია, განვავითაროთ საკუთარი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, გავაძლიეროთ ეკონომიკა ისე, რომ იგი საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ იგრძნოს, რაც შეაჩერებს მიგრაციას და ქართველ კაცს დაუბრუნებს რწმენას და ეროვნულ ღირსებას, მას ჩამოაშორებს სხვისი კარის მონის საძრახის სახელს.

ამისთვის ჩვენ ვფლობთ საკმაოზე მეტ ბერკეტს, რითაც შესაძლოა, შევაჩეროთ მეზობელი ქვეყნების აშკარად მტრული დამოკიდებულება.

საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა. ჩვენს მიწაზე გადის ბაქო-ბათუმის ნავთობის ძველი ხაზი, გაზსადენი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის სადენი, მაღალი ძაბვის ხაზები, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, ჩვენს ტერიტორიაზე გამავალი სასიცოცხლო არტერიებით არსებობს სომხეთი და ამით დიდ სარგებელს ნახულობს რუსეთი.

საქართველოს არასოდეს მოსვლია აზრად, მეზობელი ქვეყნებთან ელაპარაკა რაღაც ულტიმატუმების ენით: თუ ამას არ გააკეთებთ, ამ სასიცოცხლო გზებს გადაგიკეტავთო, იმიტომ, რომ მეგობარს არ აწყენინოს. მაგრამ როცა მეგობარი მტრად გადაგექცევა, შენს ეროვნულ ღირებულებებს, ტერიტორიებს შეგეცილება, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ის ბერკეტები, რომლითაც მეზობლების ჭირვეულობა შესაძლოა შევაჩეროთ? ამით ჩვენც დავზარალდებით, მაგრამ უმჯობესია, გავუძლოთ დროებით კრიზისს, სანამ ახალ გზას არ გამოვნახავთ, ვიდრე მუდმივად ვიყოთ მათხოვრის როლში და ვკარგავდეთ ეროვნულ თავმოყვარეობას და ღირსებას.

რუსეთთან და თურქეთთან ურთიერთობაში ჩვენი თავშეკავების ერთ-ერთი მიზეზი ამ ქვეყნებში სამუშაოდ მყოფი ჩვენი მოქალაქეების სიმრავლეა, მათგან არაა გასაკვირი, გამოაძევონ ქართველები, ამასაც უნდა შევეგუოთ, დაბრუნდნენ საკუთარ ქვეყანაში, აქ მოკრიფონ ჩაი და აქ მოემსახურონ დავრდომილ ადამიანებს. თუმცა ეს გამოძევება არც ისე ადვილია. ორივე ქვეყანა დაკარგავს ასეულ ათასობით იაფ მუშახელს, ნახევრად მონებს და თავადაც დიდ ზარალს ნახავს. ავადმყოფის მომვლელები რომ გამოაძევონ ათასობით სნეული უმეთვალყუროდ დარჩება.

სრულიად შეგნებულად ბოლოსთვის მოვიტოვე ჩვენი ძვეყნის ყველაზე დიდი, ხელშესახები და იმედისმომცემი სიმდიდრე — სასმელი წყალი, რომლითაც შეგვიძლია კონკურენცია გავუწიოთ ისეთ ცნობილ ქვეყნებს, როგორიცაა საფრანგეთი და იტალია.

საქართველოს წყლის ინდუსტრიის განუზომელ მნიშვნელობაზე თითქმის 20 წელია, რაც მუშაობენ საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერები, აკადემიკოსები: პაატა გიორგაძე, ზაურ ციხელაშვილი, ნოდარ ჩხეიძე, ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი და მეწარმე რომან რურუა, სხვები და სხვები. მათ შეადგინეს რეალობაზე დაფუძნებული პროექტი, რომელიც ჩვენს ქვეყანას არა მარტო გამოიყვანს გამუდმებული კრიზისიდან, არამედ მას ჩააყენებს მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყნის რიგში. ამჯერად მე არ შევუდგები ამ გეგმის დაწვრილებით განხილვას. საზოგადოება კარგად იცნობს პროექტის ავტორებს. მასალები არაერთხელ გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკაში", სხვა გაზეთებშიც, გადაიცა ქართული ტელეარხებით და ჩვენმა მოსახლეობამ უკვე კარგად იცის, რა სიმდიდრეს ფლობს და როგორ შეიძლება მისი გონივრულად გამოყენება.

მოვიყვან მხოლოდ ქუვეითის მაგალითს. სწორედ ამ ქვეყნის მოდელი გამოიყენეს ჩვენმა მეცნიერებმა. განსხვავება ერთადერთია: იქ სიმდიდრე მილევადი, ეკოლოგიურად საშიში ნავთობია, ჩვენთან ულევია სუფთა, უსაფრთხო სასმელი წყალი.

სამხრეთ-დასავლეთ აზიაში მდებარე ქვეყანა თითქმის მთლიანად უდაბნოს წარმოადგენს, რომელსაც თავის ტერიტორიაზე არა აქვს მდინარე. მცირე ნაკადულიც კი. დასალევად იყენებს გამტკნარებულ ზღვის წყალს, მიწათმოქმედება მხოლოდ ოაზისებთანაა განვითარებული. ახლო წარსულში იგი ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანა იყო, მაგრამ გამოჩნდა ბუნებრივი სიმდიდრე — ნავთობი, გონივრულად აითვისეს იგი და დღეს ქუვეითი ერთ-ერთი უმდიდრესია მსოფლიოში. ამის დასტურად რამდენიმე მაჩვენებელს დავასახელებ:

— ქუვეითში მოქმედი უცხოური კომპანია ვალდებულია, სამუშაოდ მხოლოდ ადგილობრივი მოქალაქე მიიღოს და მაღალი ხელფასი 10 000 დოლარი დაუნიშნოს, მაშინ, როცა უცხო მუშახელი ამის მხოლოდ მესამედს ღებულობს;

— ქვეყანაში აკრძალულია ალკოჰოლის ხმარება;

— ტურიზმი განვითარებული არ არის;

— ქვეყნის 3,5 მილიონი მოსახლეობიდან მხოლოდ 1 მილიონია ადგილობრივი მკვიდრი და სწორედ მოსახლეობის ამ რიცხვზე ნაწილდება კოლოსალური შემოსავალი;

— ახლადდაქორწინებულებს სახელმწიფო საჩუქრად აძლევს 250 000 დოლარს;

— ექიმის და მასწავლებლის ხელფასი 15 000 დოლარია;

— სამედიცინო დახმარება და განათლება უფასოა;

— საზღვარგარეთ წასულ სტუდენტს სწავლის საფასურს სახელმწიფო უხდის, სტუდენტი კი 2 000 დოლარს ღებულობს სტიპენდიის სახით;

— თითოეული ბავშვის დახმარება 26 წლამდე 200 დოლარია;

— უმუშევარ ქალებს 1400 დოლარს უხდიან;

— მინიმალური პენსია 3000 დოლარია;

— სამეცნიერო ხარისხზე ხელფასის დანამატი, მაგისტრის 700, დოქტორის 1400 დოლარია;

— ქუვეითის მოსახლეობის 70% ემიგრანტია და დანარჩენი 30% უუფლებო მსახურია;

— მოქალაქეობის მიღება გამორიცხულია.

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, კლიმატით, ბუნებრივი სიმდიდრე-სილამაზით მსოფლიოში გამორჩეული ქვეყანაა. იგი საფუძვლიანად განსხვავდება ქუვეითისგან, მაგრამ მსოფლიოში ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყნად რჩება.

რატომ არ უნდა ავაწყოთ ქუვეიტის მაგალითზე ჩვენი ქვეყნის ცხოვრება, რომლის ნებისმიერი სოფელი თავისი ბუნებით, ჰაერითა და წყლებით კურორტად გამოდგება. რატომ არ უნდა მივბაძოთ პატარა ქვეყნის ნავთობის სიკეთეს, ჩვენი სასმელი წყლის აურაცხელი მარაგით, რომელსაც ყოველწლიურად შეუძლია 2 მილიარდზე მეტ სიკვდილის პირას მისულ ადამიანს მიაწოდოს მისი გადარჩენის ერთადერთი საშუალება — წყალი.

რატომ არ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ თვით ქუვეითი ზღვის გამტკნარებულ წყალს ჩვენს ანკარა წყაროს არჩევს, კიდეც შეიძენს და სამაგიეროს ნავთობით გადაგვიხდის.

ვიფიქროთ ამ სიმართლეზე, ვაღიაროთ, რომ ჩვენი სიღარიბე გამოწვეულია ჩვენივე უგუნურებით.

ჩემს წერილს იეთიმ გურჯის ლექსის პერიფრაზით დავამთავრებ:

„წყალში ვდგევარ და წყურვილის... და შიმშილის ცეცხლი მიკიდია".

როდემდე უნდა ვიყოთ ასე?!

რამაზ სურმანიძე,
მწერალი, ბათუმი.

ᲣᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲣᲕᲘᲖᲝ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲥᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 11 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲠᲝᲛᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲤᲠᲔᲜᲘᲚᲘᲧᲝ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲨᲘ ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲔᲑᲛᲐ ᲛᲐᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ. ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ ᲠᲐᲓᲘᲝ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ“ ᲣᲧᲕᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲐᲠᲘᲐ ᲣᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲮᲔᲚᲗᲗ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ.

„მქონდა ბილეთი წინ და უკან წამოსასვლელი, დაზღვევა და იმ ადამიანის პირადი მონაცემები, ვისთანაც ჩავდიოდი. ზუსტად ანალოგიური საბუთებით შარშან აბსოლუტურად არავითარი პრობლემა არ შემქმნია. მაშინ თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან მივფრინავდი. თუმცა, თებერვალში ქუთაისიდან გაფრინდა ჩემი ძმაც, იგივე მიმართულებით და მასაც არავითარი დაბრკოლება არ შექმნია არც საქართველოს და არც იტალიის საზღვარზე“, — ამბობს ქეთევან ქერაშვილი.

მისი სიტყვებით ავიაკომპანია „ვიზეარის“ ბილეთები მარტში ჰქონდა შეძენილი, საბუთები წესრიგში ჰქონდა, თუმცა მას საქართველოს საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვის საფუძვლად დაუსახელეს ის, რომ ოფიციალური მოსაწვევი არ ჰქონდა.

„მოსაწვევი თუ არის საჭირო, გამოდის, რომ უვიზო მიმოსვლა არ არის. მქონდა მასპინძლის საკონტაქტო ინფორმაცია და მისი პირადობის მოწმობის ასლი, ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად უნდა მეცხოვრა. მითხრეს, რომ, თუ არ მაქვს მოწვევა, მაშინ უნდა მქონოდა სასტუმროს ჯავშანი და ყოველდღიურად 50 ევრო გამრავლებული იმდენ დღეზე რამდენი დღითაც მივდიოდი“.

ქეთევანი რომში 18 დღით მიდიოდა, ამ ოდენობის თანხა თან არ ჰქონდა. ქეთევანი რადიო „თავისუფლებას“ უყვება, რომ მას საზღვარზე განუმარტეს, რომ საქართველოს მოქალაქეების მიმართ სავიზო კონტროლის გამკაცრება საფრანგეთმა მოითხოვა, სიმკაცრე კი განსაკუთრებით ქუთაისის აეროპორტს შეეხო, ვინაიდან დაბალბიუჯეტური პირდაპირი ფრენები ევროპის მიმართულებით სწორედ ქუთაისის აეროპორტიდან ხორციელდება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲣᲗᲮᲠᲔᲡ ᲣᲐᲠᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲤᲠᲔᲜᲐᲖᲔ?

— შსს არ ასაჯაროებს ინფორმაციას, თუ საქართველოს რამდენ მოქალაქეს უთხრეს უარი ქუთაისის აეროპორტიდან გაფრენილიყო შენგენის ზონაში. ამ ინფორმაციის მოთხოვნით „ინტრეპრესნიუსმა“ შს სამინისტროს ორგზის მიმართა, თუმცა უშედეგოდ. მსგავსი ინფორმაციის წყაროდ აეროპორტების გაერთიანება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიუთითებს და თავად სტატისტიკურ მონაცემებს არ ავრცელებს. ქუთაისის აეროპორტში საზღვრის კვეთას ქართველ მესაზღვრეებთან ერთად საფრანგეთისა და საბერძნეთის მესაზღვრეებიც აკონტროლებენ.

— ქეთევან ქერაშვილს 11 აგვისტოს ურთიერთობა ქართველ მესაზღვრეებთან მოუხდა...

ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ

ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ მესაზღვრეები ქუთაისის აეროპორტში გაზაფხულზე გამოჩნდნენ, მას შემდეგ რაც საქართველოში ვიზიტით საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი კრისტოფ კასტანერი და ევროკომისიის გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელის მოადგილე სიმონ მორდუ იმყოფებოდნენ.

10 მაისს საქართველოში ვიზიტად მყოფმა საფრანგეთის შს მინისტრმა კრისტოფ კასტანერმა თქვა, რომ „საქართველოდან თავშესაფრის მომთხოვნთა რაოდენობა ერთგვარი ანომალიაა“. კრისტოფ კასტანერის თქმით, ამ ეტაპზე არ დგას საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერების საკითხი, მაგრამ აუცილებელია ინტენსიური მუშაობა, რათა ეს საფრთხე თავიდან იყოს აცილებული.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა პრობლემა არ შეექმნას შენგენის ზონაში საქართველოს მოქალაქეთა უვიზო მიმოსვლის საკითხს, რომელიც საქართველოსთვის უდიდესი მონაპოვარია.

უკანონო მიგრაციის შეჩერების მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებაც დაიწყო.

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ:

2018 ᲬᲔᲚᲡ ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მიღების თხოვნით საქართველოს მოქალაქეების 17 980 განცხადება შევიდა, რაც 11%-ით ნაკლებია 2017 წელს შესულ განცხადებასთან შედარებით.

შსს-ს მონაცემებით 2017 წლის 28 მარტიდან 2019 წლის მარტამდე შენგენის ზონაში საქართველოს 500 ათასზე მეტი მოქალაქე შევიდა, სხვადასხვა მიზეზით უარი შესვლაზე 3 ათასამდე მოქალაქეს უთხრეს, რაც სრული რაოდენობის 0,6%-ია.

საქართველოს მოქალაქეებს 2017 წლის 28 მარტიდან შენგენის ზონაში 90 დღით უვიზო მიმოსვლით სარგებლობის უფლება აქვთ. უვიზო მიმოსვლით სარგებლობისთვის საქართველოს მოქალაქეს თან უნდა ჰქონდეს გარკვეული დოკუმენტაცია, რომლის ჩამონათვალიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-საიტზეა განთავსებული.

ᲜᲘᲜᲝ ᲮᲐᲠᲐᲫᲔ

ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲰᲝᲜᲒ-ᲙᲝᲜᲒᲨᲘ ფერადი რევოლუციის განხორციელებას ცდილობს, რომ ჩინეთის განვითარებისთვის სირთულეები შეიქმნას, — ამის შესახებ რუსეთში ჩინეთის ელჩმა განაცხადა. ჩჟან ჰანჰუეის თქმით, სცენის მიღმა არსებული ძალები „ერთი სახელმწიფო — ორი სისტემის“ დანგრევას ცდილობენ.

„ᲰᲝᲜᲒ-ᲙᲝᲜᲒᲘ არის ჩინური ᲰᲝᲜᲒ-ᲙᲝᲜᲒᲘ, არა ამერიკული, არა ინგლისური. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ უცხო ძალებმა ჩვენს საქმეებში ცხვირი ჩაყონ. თუ ეს ძალები ჩინეთის შიდა საქმეებში ჩარევას არ შეწყვეტენ, თავისას მიიღებენ“, — განაცხადა ჩინელმა დიპლომატმა. რუსეთში ჩინეთის ელჩმა ასევე აღნიშნა, რომ პეკინს აქვს შესაძლებლობა, დაიცვას თავის ინტერესები, ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი. ᲰᲝᲜᲒ-ᲙᲝᲜᲒᲘᲡ აღგილობრივი ადმინისტრაციის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები ორ თვეზე მეტია, გრძელდება.

ᲐᲨᲨ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲡ?..

ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘ აცხადებს, **რომ აშშ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას დატოვებს, თუ ეს საჭირო გახდება. ამის შესახებ დონალდ ტრამპმა პენსილვანიის შტატში სანავთობო კომპანიის „შელის“ თანამშრომლებთან შეხვედრისას სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა.**

აშშ-ის პრეზიდენტმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ჩინეთის სასარგებლოდ მოქმედებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ მის გაპრეზიდენტებამდე აშშ ორგანიზაციაში ყველა დავას აგებდა.

„ჩვენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ყველა საქმეს ვაგებდით. თითქმის ყველა ჩვენი საქმე იყო წაგებული. ისინი ფიქრობდნენ, რომ ჩვენ სულელები ვართ. ისინი მართავდნენ მდგომარეობას. შემდეგ კი მე მოვედი. ახლა ჩვენ ბევრ საქმეს ვიგებთ, რადგან მათ იციან, მათი პოზიციები არასაკმარისად მყარია. ჩვენ დავტოვებთ მას, თუ მოგვიწევს“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა.



ᲯᲔᲤᲠᲘ ᲒᲔᲓᲛᲘᲜᲘ: ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲔᲚᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ საქართველოში შეჭრიდან 11 წლის შემდეგ, ხშირად ისმის კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ დაიწყო ომი. საუბრის ამ მიმართულებით წაყვანა, რუსეთის რევიზიონისტული პოლიტიკის უგულვებელყოფა და კრემლის მიერ, საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის კონტექსტიდან ამოღებაა.

„ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში „რადიო თავისუფლების“ ყოფილი პრეზიდენტი ჯეფრი გედმინი ამბობს, რომ მიუხედავად შესაძლო შეცდომებისა, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს ის, თუ რა იყო რუსეთის მიზანი, როცა საქართველოში ტანკები შეიყვანა.

„რუსეთი თავს დაესხა და მოახდინა საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია. ეს კი იმის გამო მოხდა, რომ რუსეთი იმპერიის აღდგენას ცდილობს — საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენებით. ამ მხრივ, საქართველო მტკივნეული მაგალითია. არ აქვს მნიშვნელობა რამდენად არასწორი, პრობლემური და არასრული იყო საქართველოში მიმდინარე პროცესები მაშინ. ეს იყო ქვეყანა, რომელიც დასავლეთისკენ, ნატოსკენ, ევროკავშირისკენ მიიწევდა. საქართველო ცდილობდა შეექმნა მოქნილი, დასავლური დემოკრატია. ვფიქრობ, რუსეთმა ეს პროცესი ეფექტურად შეაჩერა“.

გედმინს მიაჩნია, რომ 2008 წლის შემდეგ, საქართველოს მიმართ მხარდაჭერის მაშინდელ დონეზე შენარჩუნება რთულია. „მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა მსოფლიოშიც, ამერიკაშიც. დღეს ამერიკაში გვყავს პრეზიდენტი, რომლისთვისაც საქართველო პრიორიტეტი, სავარაუდოდ, არ არის. ფაქტი კი ისაა, რომ რუსეთმა ტერიტორია მონიშნა და თქვა, რომ „ეს ჩემი სამეზობლოა და არის საკითხები, რომლებზე საუბარსაც არ ვაპირებთ“. ეს ფაქტია.

მსოფლიოში და შეერთებულ შტატებში რამდენიმე წელში მდგომარეობა შეიცვლება და გედმინის აზრით, საქართველო ამისთვის მზად უნდა იყოს. ეს კი ღირებულებების დასაცავად უწყვეტ ბრძოლას ნიშნავს. **„მე ნატოს ღია კარის პოლიტიკას მხარს ვუჭერ. მხარს ვუჭერ ქართველ ხალხს, რომელსაც უნდა, რომ დემოკრატიული ქვეყნების ოჯახის თანასწორი წევრი იყო. მაგრამ ამ ეტაპზე, ამისთვის კარგი დრო არ არის. ამიტომ უნდა ვიბრძოლოთ, ვიბრძოლოთ და ვიბრძოლოთ მოთმინებით და შეუდრეკელად იმ დრომდე, სანამ გარემოებები არ შეიცვლება რამდენიმე წელში“.**

გედმინი ბევრი სხვა მიმომხილველის აზრს იზიარებს და ამბობს, რომ „საქართველო რთულ გზას გადის“, რომელიც მოტივაციის შენარჩუნებას შეიძლება ხელს უშლიდეს. თუმცა ის დასძენს, რომ **„რატომ უნდა გავჩერდეთ და რატომ უნდა დავანებოთ თავი ჩვენს მიზნებს? ეს გრძელვადიანი ბრძოლაა და არასოდეს იცი, ზუსტად როდის შეიძლება სიტუაცია შენს სასარგებლოდ მოტრიალდეს. ამიტომ, მზადება და მზაობა მუდამ უნდა გააგრძელო. ამერიკაში კალათბურთის ცნობილმა მწვრთნელმა ბობი ნაითმა ერთხელ თქვა,** — არ ეთანხმება ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ სპორტში ის გუნდი იმარჯვებს, რომელსაც გამარჯვება უფრო მეტად უნდა. გამარჯვება ყველას უნდა, მაგრამ სინამდვილეში ის იმარჯვებს, ვინც გასამარჯვებლად უკეთესადაა მომზადებული. ეს საქართველოსაც მიესადაგება — იბრძოლეთ, შეინარჩუნეთ მოტივაცია, სიმტკიცე, მოთმინება, მოიზიდეთ ინვესტიციები, გაამყარეთ ურთიერთობები მოკავშირეებთან. არავინ იცის როგორი იქნება მსოფლიო 3, 5, 10 წელში. მაგრამ, როცა მსოფლიო შეიცვლება, საქართველო მზად უნდა იყოს“.

ᲘᲐ ᲛᲔᲣᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ჯეფრი გედმინი „რადიო თავისუფლების“ პრეზიდენტი 2007-2011 წლებში იყო.

◎ თაობა

გაგნიძის „ვერცხლი“

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრების წევრი ბაგრატ გაგნიძე (79 კგ.) ესტონეთის დედაქალაქ ტალინში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი გახდა.

ქართველი ფალავანი ფინალში რუსეთელ ახმად ტაშუხაჯიევს გაეჯიბრა და, სამწუხაროდ, დიდი ანგარიშით — 1:7 დამარცხდა. დღეს კვარცხლბეკზე ასვლისთვის კიდევ 3 ქართველი მოჭიდავე იბრძოლებს. **მირიან მაისურაძემ** (86 კგ.) ნახევარფინალში ინდოელ დეეპაკ პუნიასთან 2:3 წააგო და ბრინჯაოს მედლისთვის უნგრელ და კანადელ ფალავნებს შორის უმჯობესს შეხვდება.

გოდერძი ძებისაშვილი **(61 კგ.) რეპეშაჟში სამხრეთკორეელ და ჩინელ სპორტსმენებს შორის გამარჯვებულს ელის და თუკი იმარჯვა, მე-3 ადგილისთვის ამერიკელ გაბრიელ რობერტ ტაგს შეერკინება.**

ასევე სანუგეშო ტურნირშია გადართული **ვასილ ხვისტანი** (125 კგ.), რომელსაც პირველი ორთაბრძოლა მონღოლ განერდენე სოდბილეგთან ელის. წარმატების შემთხვევაში ქართველი მძიმეწონოსანი ბრინჯაოსთვის თურქ ფაშა ექრემ ქარაბულუთს დაუპირისპირდება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ლეგიონერი

გოგა ბითაძე 24 ოქტომბერს „მოინათლება“

20 წლის ქართველი კალათბურთელი გოგა ბითაძე „ინდიანა პეისერზის“ მაისურით ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში პირველ მატჩს 24 ოქტომბერს ჩაატარებს. ამ დღეს ინდიანელები ზაზა ფაჩულიას ბოლო გუნდს — „დეტროიტ პისტონზს“ დაუხვდებიან, თამაში კი თბილისის დროით ღამის 3 საათზე დაიწყება.

ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც NBA-ს მომავალი სეზონის სრული კალენდარი გამოქვეყნდა. მის თანახმად, „პეისერზი“ სასტარტო შეხვედრას ოქტომბერშივე სამ საგარეო მატჩს მიაყოლებს.

გაირკვა ისიც, რომ ინდიანელთა მონაწილეობით აშშ-ს ნაციონალური ტელევიზიებით 6 რეპორტაჟი გადაიცემა: 8 თებერვალს — „ტორონტოსთან“, 13 თებერვალს და 5 მარტს — „მილუოკისთან“, 28 თებერვალს — „პორტლენდთან“, 19 მარტს — „გოლდენ სტეიტთან“ და 9 აპრილს — „ბოსტონთან“.

სასიხარულოა, რომ ინდიანაპოლელთა მიერ კალენდართან დაკავშირებით გამოქვეყნებულ პოსტერზე გუნდის კიდევ ხუთ ლიდერთან ერთად გოგა ბითაძეც მოხვდა. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „პეისერზი“ დრაფტზე მე-18 ნომრად აყვანილ ქართველ ცენტრზე დიდ იმედებს ამყარებს.

ვიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა

„რეალმა“ გუნდის 20 წლის უკრაინელი მეკარე ანდრეი ლუნინი „ვალიადოლიდში“ ერთწლიანი იჯარის წესით გაუშვა. აღნიშნულ ინფორმაციას კლუბის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

განვლილ სეზონში ლუნინი „ლეგანესში“ იყო განათხოვრებული და ლა ლიგაში ხუთი შეხვედრა ჩაატარა.

2018 წელს „რეალმა“ ანდრეი ლუგანსკის „ზორიადან“ 8 მილიონ დოლარად იყიდა და მეკარეს მადრიდელებთან კონტრაქტი 2024 წლამდე აკავშირებს.

* * *

„რომა“ და „ლივერპული“ შეთანხმდნენ: ხორვატი მცველი დეიან ლოვრენი რომაული კლუბის ფეხბურთელი გახდება, — წერს Evening Standard. ლოვრენმა უეფას სუპერთასის მატჩშიც არ მიიღო მონაწილეობა, რომელიც გუშინ გაიმართა სტამბოლში, სადაც „ლივერპული“ „ჩელსის“ დაუპირისპირდა.

წყაროს ცნობით, ლოვრენის ყიდვა „რომას“ დაახლოებით 16 მილიონი ევრო დაუჯდება. თავად ხორვატსაც სურს რომაულ კლუბში გადასვლა, რათა რეგულარული სათამაშო დრო მიიღოს. მოგეხსენებათ, ბოლო დროს ის სულ უფრო იშვიათად ჩნდებოდა „წითლების“ შემადგენლობაში.

* * *

იტალიელი თავდამსხმელი მარიო ბალოტელი არ გამორიცხავს კარიერა „ბრეშაში“ გააგრძელოს, — გვამცნობს gianlucadimarzio.com. **სუპერმარიო კლუბთან მოლაპარაკებას აწარმოებს, თუმცა, ოფიციალურად ჯერ არაფერი ხმაურდება.**

ბევრი რამ დღეს გაირკვევა: თუ ბრაზილიურმა „ფლამენგომ“ უარი თქვა, დიდი ალბათობით, ბალოტელი „ბრეშაში“ გადავა. ისე კი, „ბალო“, შესაძლოა, პირველი იტალიელი გახდეს, ვინც „ფლამენგოს“ მაისურს მოირგებს. ბოლო კლუბი „მარსელი“ გახლდათ, რომელიც მან ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრისას დატოვა.

ადრე ის „ინტერში,“ „მანჩესტერ სიტიში,“ „მილანში,“ „ლივერპულსა“ და „ნიცაში“ თამაშობდა, იტალიის ნაკრებში კი 2010 წლიდან იწვევდნენ. ამჟამად „ბალო“ თავისუფალი აგენტია.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

„ოლ ბლექსს“ ინგლისი დაეხმარა

მსოფლიო რაგბის მიერ განახლებულ რეიტინგში არაერთი ცვლილება მოხდა, მთავარი კი ისაა, რომ უკიდურესად დაიძაბა ვითარება მის სათავეში. კლასიფიკაციის მოწინავე ხუთ ნაკრებს შორის სხვაობა მხოლოდ 2.21 ქულაა, რაც დიდი ხანია არ ყოფილა. გასული უქმეების ერთ-ერთი უმთავრესი მატჩი პერთში შედგა, სადაც ავსტრალიელებმა ახალი ზელანდია 47:26 დაამარცხეს და „ოლ ბლექსს“ პოზიციები შეურყიეს. ერთი დღის განმავლობაში, უკანასკნელ 10 წელიწადში პირველად, „შავები“ ლაივ-რეიტინგში მე-2 ადგილზე იმყოფებოდნენ, თუმცა, ისინი კვირას ინგლისელებმა იხსნეს.

საქმე ის გახლავთ, რომ უორენ გეთლენდის მიერ დარიგებულ უელსელებს ლონდონურ „თვიქენჰემზე“ გამარჯვება კლასიფიკაციაში ლიდერობას ოფიციალურად გაუფორმებდა, მაგრამ ედი ჯონსის მიერ გადახალისებულმა „ვარდებმა“ არაფერი დათმეს და „დრაკონები“ კლასიფიკაციაში მე-2 ადგილზე დატოვეს.

თავად ინგლისმა რეიტინგში მე-4 პოზიციიდან სამხრეთ აფრიკა ჩამოაქვეითა მიუხედავად იმისა, რომ „ქურციკებმა“ სალტაში არგენტინას უშანსოდ მოუგეს — 46:13. წყნარი ოკეანის თასის 2019 წლის გათამაშებაში გამარჯვება დაუფასდა იაპონიის ნაკრებს, რომელმაც ტიტული აშშ-სთან გამარჯვებით (34:20) გაიფორმა და მე-9 საფეხურზე აინაცვლა. აზიელებმა ფიჯისა და არგენტინის ნაკრებები ჩამოაქვეითეს და მათთვის სარეკორდო ნიშნულს უწიეს, რომელიც 2016 წლის თებერვალში ერთხელ უკვე ეკავათ. 74.42 ქულით კვლავაც მე-12 ადგილზე რჩება საქართველოს ნაკრები, რომელიც ხსენებული ცვლილებების შემდეგ არგენტინის ზურგს უკან აღმოჩნდა. სათქმელია ისიც, რომ „ბორჯღალოსნების“ უახლოეს მდევრად ისევ იტალია იქცა, რომელმაც ამერიკელთა წაფორხილებით ისარგებლა.

შეგახსენებთ, რომ ქართველ მორაგბეებს კლასიფიკაციაში წინსვლის შანსი აგვისტო-სექტემბრის მიჯნაზე ექნებათ, როდესაც მსოფლიოს მე-7 გუნდ შოტლანდიას ჯერ თბილისში, შემდეგ კი ედინბურგში ეთამაშებიან.

კოზა კოზახიძე

◎ ინტერნეტიდან

იკარდის ოჯახი ესპანეთში ისვენებს

ევროპაში გვარიანად ცხელი ზაფხულია ჩამომდგარი და ყველა ცდილობს პაპანაქებას სხვადასხვა გზით დააღწიოს თავი. არგენტინელ თავდამსხმელ მაურო იკარდის ოჯახს, მაგალითად, უკვე ორი თვეა ესპანეთის ცნობილ კუნძულ ტენერიფეზე გაუდგამს ფესვები და კუთვნილ ვილაზე გემრიელად ისვენებს.

მაუროს ცოლი და პირადი აგენტი, ყოფილი მოდელი ვანდა ნარა თავის ხუთ შვილთან ერთად აღნიშნული ფეშენებელური ვილის ერთადერთი მფლობელია. იკარდიმ საყყვარელ ცოლს ეს ვილა საქორწინო საჩუქრის სახით აჩუქა და როდესაც თავად თავისუფალი დრო აქვს, ცოლ-შვილთან ერთად ზღვის სანაპიროზე ატარებს. ალბათ გახსოვთ, რომ ვანდა ნარასა და მაურო იკარდის ქორწინება დიდი სკანდალებით იყო მოსილი. მაურომ თავის ყოფილ მეგობარსა და თანაგუნდელ მაქსი ლოპესს ცოლი წაართვა (სწორედ ამის გამო გადაეკიდა იკარდის მთელი არგენტინის ნაკრები) და ვანდას პირველი სამი შვილი სწორედ მაქსისგან ჰყავს, იკარდისგან კი ორი გოგონა შეეძინა.

ბეჭან დოლიძე

დანართი №1

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „ენერგოტრანსი“ აცხადებს ტენდერს ძალოვანი ტრანსფორმატორის სასუნთქი სისტემის ჰაერის ელექტრული გამაშრობლების შესყიდვაზე:

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა
1	ძალოვანი ტრანსფორმატორის სასუნთქი სისტემის ჰაერის ელექტრული გამაშრობლები	12 ცალი

- საქონლის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.
- ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
- საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 60 კალენდარულ დღეში.
- წარმოსადგენია საქონლის ხარისხის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- წარმოსადგენია საქონლის საგარანტიო პირობები.
- პრედენტენტი უნდა იყოს საქონლის მწარმოებელი კომპანია ან მწარმოებლის ოფიციალური დილერი/ან კომერციული აგენტი და უნდა წარმოადგინოს დილერობის ან კომერციული აგენტობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.
- შემოთავაზებული საქონლის დამამზადებელ კომპანიას უნდა გააჩნდეს ანალოგიური საქონლის დამზადების მინ. 5 წლიანი გამოცდილება.
- სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი ზეპირი ვაჭრობისას („შემდგომში– ბიჯი“) – 2000 (ორი ათასი) ლარი.

აუცილებელი პირობა:

შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების 3%-ის ოდენობით. ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია) სახელშეკრულებო ღირებულების 3% -ის ოდენობით.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „ენერგოტრანსის“ შემდეგ ანგარიშზე: სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა # GE37TB7731436030100001 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა (ტენდერის № T-07 G-05/2019).

სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 50 (ორმოცდაათი) ლარიანი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2019 წლის 3 სექტემბრის 18:00 საათამდე.

სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 2019 წლის 4 სექტემბრის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2019 წლის 4 სექტემბრის 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტები:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ინდ. მეწარმეებისათვის:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
2. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
3. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

გ) ფიზიკური პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

შენიშვნა: პრეტენდენტს არ უნდა გააჩნდეს ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა.

ქვეკონტრაქტორი არ გამოიყენება.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისის ქვეყნის სათანადო ორგანოდან დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული ქართული თარგმანის სახით.

ყველა სავალდებულო დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით: **პრეტენდენტის დასახელება, შპს „ენერგოტრანსის“ სატენდერო კომისიას. ტენდერი № T-07 G-05/2019.**

სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პრეტენდენტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი (თანმხლები დოკუმენტების ჩათვლით) ან/და ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში _ ნიმუში;

ბ) თუ სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვერ შეძლებს ან არ მოახდენს სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტებას, შევსებას, წარდგენას ან ხელახალ დადასტურებას;

გ) თუ პრეტენდენტი არ დათანხმდება სატენდერო კომისიის მიერ მის სატენდერო წინადადებაში აღმოჩენილი მექანიკური შეცდომების გასწორებას;

დ) თუ სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ე) თუ შესყიდვის პროცედურების დროს ადგილი ექნება პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

ვ) თუ შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადების სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, დასაშვებია სატენდერო წინადადება დაზუსტდეს, შეივსოს ან წარდგენილ იქნეს სატენდერო განცხადებაში მოთხოვნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ან სატენდერო წინადადება მისი არსის შეუცვლელად, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, სატენდერო წინადადება შეფასებაზე არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის დროს, არ დაიშვება სატენდერო წინადადების ფასის გაზრდა.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადის დასრულებამდე „შემსყიდველ“ ორგანიზაციაში. განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ ასევე გამოქვეყნდება შემსყიდველის ვებ-გვერდზე: www.energotrans.com.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“.

საკონტაქტო პირები: შესყიდვების სამსახურის უფროსი **გიორგი ჭიჭინაძე** ტელ: 577907707 ელ. ფოსტა: giorgi.chichinadze@energotrans.com.ge.

აღნიშნული ტენდერი ტარდება შპს „ენერგოტრანსის” მიერ საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის წესის შესაბამისად.

დანართი №1

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „ენერგოტრანსი“ აცხადებს ტენდერს ელექტრო-საიზოლაციო აირი SF6-ის შესყიდვაზე:

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა
1	ელექტრო-საიზოლაციო აირი SF6 (წეტო წონა არანაკლებ 10 კგ)	10 ბალონი

- საქონლის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.
- ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
- საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 60 კალენდარულ დღეში.
- წარმოსადგენია საქონლის ხარისხის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- წარმოსადგენია საქონლის საგარანტიო პირობები.
- პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს გამოცდილება (ხელშეკრულების და მიღება-ჩაბარების აქტების ასლები) ელექტრო-ტექნიკური მოწყობილობების/საქონლის მიწოდების არანაკლებ ორი წელი, რაზედაც წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია მიწოდებული საქონლის შესახებ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში.
- შემოთავაზებული საქონლის დამამზადებელ კომპანიას უნდა გააჩნდეს ანალოგიური საქონლის დამზადების მინ. 5 წლიანი გამოცდილება.
- სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი ზეპირი ვაჭრობისას („შემდგომში– ბიჯი“) – 700 (შვიდასი) ლარი.

აუცილებელი პირობა:

შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების 3%-ის ოდენობით. ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია) სახელშეკრულებო ღირებულების 3% -ის ოდენობით.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „ენერგოტრანსის“ შემდეგ ანგარიშზე: სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა # GE37TB7731436030100001 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა (ტენდერის № T-08 G-06/2019).

სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 50 (ორმოცდაათი) ლარიანი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2019 წლის 4 სექტემბრის 18:00 საათამდე.

სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 2019 წლის 5 სექტემბრის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2019 წლის 5 სექტემბრის 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტები:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ინდ. მეწარმეებისათვის:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
2. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
3. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

გ) ფიზიკური პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

შენიშვნა: პრეტენდენტს არ უნდა გააჩნდეს ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა.

ქვეკონტრაქტორი არ გამოიყენება.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისის ქვეყნის სათანადო ორგანოდან დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული ქართული თარგმანის სახით.

ყველა სავალდებულო დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით: **პრეტენდენტის დასახელება, შპს „ენერგოტრანსის“ სატენდერო კომისიას. ტენდერი № T-08 G-06/2019.**

სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პრეტენდენტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი (თანმხლები დოკუმენტების ჩათვლით) ან/და ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში _ ნიმუში;

ბ) თუ სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვერ შეძლებს ან არ მოახდენს სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტებას, შევსებას, წარდგენას ან ხელახალ დადასტურებას;

გ) თუ პრეტენდენტი არ დათანხმდება სატენდერო კომისიის მიერ მის სატენდერო წინადადებაში აღმოჩენილი მექანიკური შეცდომების გასწორებას;

დ) თუ სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ე) თუ შესყიდვის პროცედურების დროს ადგილი ექნება პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

ვ) თუ შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადების სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, დასაშვებია სატენდერო წინადადება დაზუსტდეს, შეივსოს ან წარდგენილ იქნეს სატენდერო განცხადებაში მოთხოვნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ან სატენდერო წინადადება მისი არსის შეუცვლელად, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, სატენდერო წინადადება შეფასებაზე არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის დროს, არ დაიშვება სატენდერო წინადადების ფასის გაზრდა.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადის დასრულებამდე „შემსყიდველ“ ორგანიზაციაში. განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ ასევე გამოქვეყნდება შემსყიდველის ვებ-გვერდზე: www.energotrans.com.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“.

საკონტაქტო პირები: შესყიდვების სამსახურის უფროსი **გიორგი ჭიჭინაძე** ტელ: 577907707 ელ. ფოსტა: giorgi.chichinadze@energotrans.com.ge.

აღნიშნული ტენდერი ტარდება შპს „ენერგოტრანსის” მიერ საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის წესის შესაბამისად.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „აისი ჯგუფის“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „აისი ჯგუფი“ (ს/ნ 405148086), თბილისი, ოდესის 14.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, დავით ჯაბიძის ქ. №11, სართული 3, ბინა 5ა (საკადასტრო კოდი: 01.11.10.013.096.01.005 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 12909.50 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 1969.24 ლარს);
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 14 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 30 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP61962419;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 619624
6. **მოვალე:** რომან სალაძე (პ/ნ 59001082032), გორი, ს. მეღვრეკისი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP61962419; ლოტის ნომერი: 619624).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 30 აგვისტოს 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ფრიდონ წიწილაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ფრიდონ წიწილაშვილი (პ/ნ 18001042798), თერჯოლა, ს. თუზი.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ზესტაფონი, კეკელიძის ქ. №19, სართ. 7 ბინა №27 (საკადასტრო კოდი: 32.10.09.057.01.027).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 4108.60 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 14 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 30 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP61959219;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 619592
6. **მოვალე:** ირაკლი წიწილაშვილი (პ/ნ 18001059237), ქ. ზესტაფონი, კეკელიძის ქ. №19, სართული 7, ბინა №27;
ლელა გოლოძე (პ/ნ 18001028527), ქ. ზესტაფონი, კეკელიძის ქ. №19, სართული 7, ბინა №27.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP61959219; ლოტის ნომერი: 619592).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 30 აგვისტოს 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თეიმურაზ თორდიას და მაყვალა ჟიშქარიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთების მესაკუთრე:** თეიმურაზ თორდია (პ/ნ 19001058451), ზუგდიდი, სოფელი ჩხორია;
1.1 უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №158ა (საკადასტრო კოდი: 43.31.58.188).
1.2 უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №96 (საკადასტრო კოდი: 43.31.56.404).
1.3 უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №96 (საკადასტრო კოდი: 43.31.56.403).
1.4 უძრავი ნივთების სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთები არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მაყვალა ჟიშქარიანი (პ/ნ 19001033530), ზუგდიდი, სოფელი ჩხორია.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №77, სართული 1 (საკადასტრო კოდი: 43.31.49.135.01.507).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
3. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 386732.73 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 58993.12 ლარს).
4. **აუქციონის დაწყების დრო:** 2019 წლის 30 აგვისტო, 12:00 საათი;
5. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6;
6. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;
7. **მოვალე:** თეიმურაზ თორდია (პ/ნ 19001058451), ზუგდიდი, სოფელი ჩხორია;
მაყვალა ჟიშქარიანი (პ/ნ 19001033530), ზუგდიდი, სოფელი ჩხორია;
ვასილ თორდია (პ/ნ 19001077806), ზუგდიდი, სოფელი ჩხორია, ი. ჭავჭავაძის ქ. №26.
8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6;
9. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 30 აგვისტოს 12:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მერი ქობალიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მერი ქობალია (პ/ნ 62001024262), თბილისი, ნუცუბიძის 5 მ/რ, კორპ. 1, ბინა №26.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ. №76, სადარბაზო 1, სართული 2, ბინა №15 (საკადასტრო კოდი: 01.19.21.002.194.01.015https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 26206.24 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 14 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 30 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP61956419;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 619564
6. **მოვალე:** ლევან ფიფია (პ/ნ 62007015241), თბილისი, ნუცუბიძის 5 მ/რ, კორპ. 1, ბინა №26.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP61956419; ლოტის ნომერი: 619564).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 30 აგვისტოს 10:00 საათამდე.

KA020138681629119

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება

№1-1/391 12/აგვისტო/2019 წ.

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის №1-1/159 ბრძანებით შექმნილმა ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველმა კომისიამ განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2019 წლის 03 აპრილის №01-01-10/1531 განცხადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში, „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი – გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის გაგრძელება-გაფართოების მშენებლობის პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შესახებ და

გამოარკვია:

ქ. ბათუმში საცხოვრებელი ფონდის გაზრდამ წარმოშვა ახალი ქალაქმშენებლობითი პრობლემები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია საინჟინრო ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო გზებისა თუ კვანძების განვითარება-გაანახლების აუცილებლობა. საინჟინრო ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო კვანძების განვითარების მიზნით ქ. ბათუმში აქტიურად მიმდინარეობს ახალი გზების მშენებლობა, ასევე, არსებული სატრანსპორტო ქსელების გაგრძელება, გაფართოება-რეკონსტრუქცია. ერთ-ერთ ასეთ სატრანსპორტო კვანძს, რომლის განვითარების აუცილებლობაც არსებობს, წარმოადგენს ქალაქ ბათუმში „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის გაგრძელება-გაფართოების მშენებლობა. ამჟამად ამ გზის მშენებლობის ნაწილი განხორციელებულია, ხოლო ნაწილზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული გზის მშენებლობა განტვირთავს, როგორც ბათუმში ავტომანქანების მოძრაობას, ასევე ხელს შეუწყობს სამრეწველო ზონის განვითარებას, ვინაიდან აღნიშნული გზა გადის სწორედ სამრეწველო ზონის, მდინარე ჭოროხის სანაპიროდან მარჯვენა მხარეს. აღნიშნული გზის მშენებლობის დასრულების შემდეგ სატრანსპორტო საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის სატვირთო ავტომობილები, რომლებიც ეზიდებიან სამრეწველო დანიშნულების მასალებს აღარ გაივლის ქალაქის სატრანსპორტო საშუალებით გადატვირთულ, ფრიდონ ხალვაშის გამზირზე.

ქალაქ ბათუმში „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის გაგრძელება-გაფართოების მშენებლობის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 05 მარტის №22 განკარგულებით დამტკიცდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში მდებარე „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის მშენებლობის არეალში მოხვედრილი უძრავი ქონების მესაკუთრეებისათვის/მოსარგებლეებისათვის კომპენსაციის გაცემის წესი (შემდგომში წესი), რომელიც არეგულირებს საავტომობილო გზის განთავსების ზოლში მოხვედრილი უძრავი ქონების იდენტიფიცირების, შესაბამისი აზომვითი ნახაზების მომზადებისა და მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებისათვის/მოსარგებლეებისათვის კომპენსაციის გაცემის წესსა და პროცედურებს. აღნიშნული წესის შესაბამისად, საავტომობილო გზის მშენებლობის არეალში მოხვედრილი უძრავი ქონების ცალკეულ მესაკუთრეებთან და მოსარგებლეებთან მიღწეული იქნა შეთანხმება ქონების ნებაყოფლობით გადაცემაზე და გაიცა შესაბამისი კომპენსაციები.

დასახელებული მშენებლობის არეალში მოექცა მოქალაქე რევაზ სურმანიძის (პ/ნ 61009014712) საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირ №378-378ა-ში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 639 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 05.35.25.233). აჭარის ვტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ რევაზ სურმანიძეს ეცნობა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 05.35.25.233) სანაცვლოდ კომპენსაციის მიღების თაობაზე, სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საექსპერტო დასკვნებით განსაზღვრული საბაზრო ღირებულების შესაბამისად, რაზეც მოქალაქემ უარი განაცხადა.

ვინაიდან ზემოაღნიშნული გარემოება აფერხებს პროექტის განხორციელებას, ხოლო სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვების გარეშე შეუძლებელია მშენებლობის გაგრძელება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ წერილობით მომართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპროპრიაციის პროცედურის დაწყების შუამდგომლობით და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭება მოითხოვა.

წარმოდგენილი განცხადების საფუძვლიანობის შემოწმებისა და გარემოებების შეფასების შედეგად, მიზანშეწონილია დაკმაყოფილდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შუამდგომლობა მოთხოვნილ უძრავ ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გინიოს ხიდი) საავტომობილო გზის გაგრძელება-გაფართოების მშენებლობის პროექტს.

საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირ №378-378ა-ში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 05.35.25.233) მესაკუთრეა რევაზ სურმანიძე (პ/ნ 61009014712).

დადგენილია, რომ ზემოდასახელებული პროექტის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების არეალში ექცევა რევაზ სურმანიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

დადასტურებულია, რომ მესაკუთრეს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ, რაზედაც მან უარი განაცხადა.

საკუთრების უფლების, ისევე როგორც სხვა ძირითადი უფლებების, სამართლებრივ გარანტიას, წარმოადგენს კონსტიტუცია. უშუალოდ საკუთრების უფლების კონკრეტული კონსტიტუციური გარანტია ასახულია კონსტიტუციის მე-19 მუხლში, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“. საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების გარანტია, პირველ რიგში, ნიშნავს თითოეული მესაკუთრის უფლებას თავი დაიცვას სახელმწიფოს გაუმართლებელი და სხვა პირების ნებისმიერი ჩარევისგან. თუმცა საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება.

საქართველოს კონსტიტუციის 19-ე მუხლი ითვალისწინებს საჯარო მიზნებისათვის ამ უფლების შეზღუდვას კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილების ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისგან“. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ საკუთრების ჩამორთმევაში იგულისხმება ექსპროპრიაცია, რომლის პირობები და წესი დადგენილია „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ,,ამ კანონის მიზანია, განსაზღვროს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭებისა და ექსპროპრიაციის განხორციელების წესი. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაცია ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე და სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ანდა საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად ენიჭება ექსპროპრიაციის უფლება“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაცია ხორციელდება გზისა და მაგისტრალის გაყვანა-მშენებლობისათვის“ ვინაიდან, ვერ ხერხდება მესაკუთრესთან უძრავი ქონებების გამოსყიდვაზე თანხმობის მიღება, არსებობს ექსპროპრიაციის გზით საკუთრების უფლების ჩამორთმევის საჭიროება.

ამასთან, საექსპროპრიაციო ქონების ღირებულებასთან დაკავშირებით ექსპროპრიატორისა და ქონების მესაკუთრის შეუთანხმებლობის საკითხის განხილვა/გადაწყვეტა არ წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამოსილებას. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით – „თუ ექსპროპრიატორი და ქონების მესაკუთრე ვერ თანხმდებიან ქონების საბაზრო ღირებულებასა და საკომპენსაციო თანხაზე ან კომპენსაციის სახით შეთავაზებული ქონების გადაცემაზე, მაშინ თითოეულ მხარეს უფლება აქვს სარჩელი შეიტანოს სასამართლოში განსჯადობის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

ამდენად, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის №1-1/159 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2019 წლის 22 ივლისის სხდომის ოქმის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გინიოს ხიდი) საავტომობილო გზის გაგრძელება-გაფართოების მშენებლობის პროექტი ჩაითვალოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროექტად და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიენიჭოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლება მშენებლობის ფარგლებში მოქცეულ, ქალაქი ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №378-378ა-ში მდებარე, საკადასტრო კოდით 05.35.25.233 რეგისტრირებულ რევაზ სურმანიძის (ს/კ 61009014712) საკუთრებაში არსებულ 639 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კ.მ, №6).

მინისტრი ნათელა თურნავა

ინფორმაცია

2019 წლის 6 სექტემბერს 14:00 საათზე, ქალაქ ფოთის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში მის: ფოთი აღმაშენებლის ქ. №12-ში გაიმართება ფოთი–გრიგოლეთი-ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობის პროექტი. საერთაშორისო მნიშვნელობის E-70 სენაკი–ფოთი (შემოვლითი)–სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ფოთი-გრიგოლეთის მონაკვეთის (ეტაპი 1)-მდ. რიონზე ხიდის და მისასვლელი გზების მშენებლობის და ექსპლუტაცის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება. პროექტი დაფინანსებულია აზიის განვითარების ბანკის მიერ (ADB).

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე: www.georoad.ge
- ფოთის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში ბეჭდური ვერსია.

გია სოფაძე ტელ: 599 93 92 09; ელ. ფოსტა: gia.sopadze@georoad.ge

საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია

2019 წლის 3 სექტემბერს 14:00 საათზე გურჯაანის მინუციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მის: გურჯაანი ნონეშვილის გამზირი №13 გაიმართება ბაკურციხე-წნორის (16კმ) საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის პროექტისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება. პროექტი დაფინანსებულია აზიის განვითარების ბანკის მიერ (ADB).

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე: www.georoad.ge
- გურჯაანის გამგეობების შენობებში ბეჭდური ვერსია.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ:
გია სოფაძე ტელ: 599 93 92 09; ელ. ფოსტა: gia.sopadze@georoad.ge

თბილისში სამი ახალი კლინიკა შენდება

2019 წელს თბილისში 4 ახალი სამედიცინო და ჯანმრთელობის ობიექტის აშენების ნებართვა გაიცა. „კომერსანტის“ მიერ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ:

გორგასალის №93-ში საავადმყოფო აშენდება. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს არსებული საავადმყოფოს შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“-ს ტერიტორიაზე ახალი სამედიცინო დანიშნულების ნაგებობის მშენებლობას. მშენებლობის ნებართვა 2019 წლის მაისში გაიცა. პროექტის დამკვეთი იაგორ კალანდაძეა. საპროექტო შენობა არსებული საავადმყოფოს შენობის დასავლეთითაა განთავსებული. შენობა რვასართულიანია, სარდაფით. შენობის I სართულზე მიმღები განთავსდება, სარდაფში რადიოლოგიური კაბინეტები. II-VII სართულებზე სხვადასხვა დანიშნულების სტაციონარები, ხოლო VIII სართულზე ადმინისტრაციული განყოფილება განთავსდება. ტერიტორიაზე 45 ავტომობილზე გათვლილი ავტოსადგომი მოწყობა.

პროექტს ახლავს საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა: საავადმყოფოს კორპუსის მშენებლობისთვის გამოყოფილი უბანი აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით.

დიდ დიღომში, ნიკო ბურის №2-ში შშმ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი აშენდება. დამკვეთი ხათუნა ხალვაშია. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი იქნება ამბულატორიულ პრინციპებზე აგებული, სადაც არ მოხდება პაციენტების დარჩენა დღე-ღამის განმავლობაში და მათი მეთვალყურეობა. მოხდება შესაბამისი ვარჯიშებისა და პროცედურების ჩატარება, ასევე შესაბამისი კონსულტაციები.

შენობა 4-სართულიანი იქნება. -1,+2+3 სართულებზე განთავსდება სავარჯიშო სივრცეები, სადაც მასაჟები ჩატარდება. 0 სართულზე განთავსებულია მისაღები და რეგისტრატურა, ხოლო მეოთხე სართულზე კლინიკის მენეჯმენტისთვის საოფისე სივრცე მოეწყობა.

ლუბლიანას ქუჩა №21ა-ში კი ბავშვთა პალიატიური კლინიკა აშენდება. საავადმყოფოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ააშენებს. უნივერისტეტში „კომერსანტს“ განუცხადეს, რომ ინვესტიციის ოდენობა მათვის ჯერჯერობით უცნობია, მათი თქმით, ხარჯთაღრიცხვა დამუშავების პროცესშია და ტენდერი უახლოეს მომავალში გამოცხადდება. შენობა 5-სართულიანია, 1 სართულზე განთავსდება ძირითადი და დამხმარე შესასვლელი, მთავარი ფოიე და კლინიკის ინფექციური განყოფილება შესაბამისი ფუნქციური ოთახებით და სათავსებით. განყოფილება გათვლილია 8 პაციენტზე.

მე-2 სართულზე განთავსებული იქნება კლინიკის ადმინისტრაციული ნაწილი, კაბინეტები და საკონფერენციო სივრცე, მე-3 სართულზე — კლინიკის საგანმანათლებლო ბლოკი აუდიტორიებით, სამაყურებლო და სადემონსტრაციო დარბაზებით. მე-4 სართულზე დაპროექტებულია კლინიკის ნეონატოლოგიური განყოფილება, სარეანიმაციო და ინტენსიური მკურნალობის დარბაზებით. ასევე იქნება პალატები (6 ერთეული) და განყოფილებისთვის საჭირო დამხმარე ფართები. მე-5 სართულზე მოცემულია კლინიკის პალიატიური განყოფილება (ბავშვთა ხანგრძლივი დაყოვნების ცენტრი), რაც მოიცავს 7 პალატას (14 ბავშვზე) და ჰოსპისს (1 ბავშვზე). გარდა ამისა, სათამაშო და თერაპიულ ოთახს, ასევე პერსონალისა და დამხმარე ოთახებს. ტერასაზე განთავსებული იქნება კაფე ღია დარბაზით, საკონფერენციო დარბაზი, ბავშვთა დასასვენებელი ოთახი, ღია ტერასები.

ბაჩო ადამია

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექცია და თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროფ. ლევან ჩხაიძის მეუღლე

ლამარა ჩხაიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 15 აგვისტოს 15 საათზე. მისამართი: მთაწმინდის შეს. 7ა (ფუნიკულიორის ქვედა სადგურის პირდაპირ).

ბაკურიანის კეთილმოწყობა გრძელდება

ბაკურიანში **იგეგმება სასრიალო ტრასების შემდგომი განვითარება, ასევე ბიატლონის ინფრასტრუქტურის მოწყობა, ყინულის დარბაზების მშენებლობა და ტრამპლინიდან ხტომის ინფრასტრუქტურის აღდგენა,** — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ ფრისტაილში 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ახალი საბაგიროების მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე განაცხადა.

„მინდა, მივულოცო სრულიად საქართველოს და პირველ რიგში ბაკურიანსა და ბაკურიანელებს ეს უდიდესი აღიარება, რაც ჩვენ მოვიპოვეთ. უახლოეს 5-6 წელიწადში ბაკურიანი უმასპინძლებს სულ მცირე ორ, უდიდესი მნიშვნელობის სპორტულ მოვლენას — ეს არის მსოფლიო ჩემპიონატი ფრისტაილში და ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. ეს იქნება ძალიან კარგი წინაპირობა და განაცხადი, რომ ჩვენ გვქონდეს ამბიცია და ვუმასპინძლოთ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. ეს არის აღიარება იმ უდიდესი პოტენციალის, რაც გააჩნია ჩვენს ზამთრის კურორტებს და კერძოდ ბაკურიანს, როგორც საუკეთესო სპორტულ კურორტს“, — განაცხადა თურნავამ.

მინისტრი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობა მთავრობისთვის დიდი გამოწვევაა.

„ქართუ“ სვანეთის უძველეს კოშკებს აღადგენს

სვანეთის უძველესი კოშკების რეაბილიტაცია ფონდ „ქართუსთან“ ერთად ხორციელდება, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის გეგმის ფარგლებში, სააგენტომ განვლილ წლებში მესტიის რამდენიმე ათეულ სოფელში 80-მდე სვანური კოშკი, ტრადიციული საცხოვრისი და საკულტო ნაგებობა აღადგინა, მიმდინარე წლიდან სარეაბილიტაციო პროცესი გაცილებით ფართო მასშტაბს მიიღებს და წლის ბოლომდე ის სათემო სოფლების 10 საგვარეულო მაჩუბის, რვა კოშკის, ორი არქიტექტურული კომპლექსის და იფარის მთავარანგელოზის ეკლესიის რესტავრაციას მოიცავს. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილის ყავარის და ფიქალის ქვის გადახურვა სრულად განახლდება.

ნაგებობების დაზიანებული ფრაგმენტები დაიშლება და კირ-დუღაბით ხელახლა აღდგება. მშრალი ქვის წყობის კრიტიკული ბზარები შეივსება და ფარული რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით გამაგრდება. შეიცვლება გადახურვის ხის კონსტრუქციები და ჰიდროსაიზოლაციო მასალით დაიფარება. გაძლიერდება მაჩუბებისა და ციხე-კოშკების კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი საძირკვლები. აღდგება მაჩუბების და კოშკების სართულშუა ხის კონსტრუქციები.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში წელსვე დაიწყება მსოფლიო ბანკისა და მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსების გზით განსახორციელებელი კომპლექსური პროგრამა, რაც უშგულის ორი უბნის სრულმასშტაბიან რეაბილიტაციას ითვალისწინებს. რესტავრაცია მოიცავს სოფლების კოშკებს, მაჩუბებსა და საცხოვრებელ სახლებს. გაგრძელდება მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის — სოფელ ჩაჟაშის კოშკებისა და მაჩუბების რეაბილიტაციის პროგრამაც, რომელსაც სააგენტო ფონდ „ქართუსთან“ ერთად ახორციელებს.

ამავდროულად გაგრძელდება სოფელ ჩვიბიანში 2018 წელს ჩარკვიანების ჩამოშლილი საგვარეულო კოშკის აღდგენის პროცესი. 2019 წელს გათვალისწინებული ფიზიკური სამუშაოები კოშკის ორი სართულის რესტავრაციას გულისხმობს. სარესტავრაციო მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, მისი დარჩენილი არქიტექტურული წყობა 2020 წელს აღდგება. ანალოგიურად, სააგენტო უზრუნველყოფს სოფელ მურყმელში ორი კვირის წინ ჩამოშლილი კოშკის გაწმენდა-რეაბილიტაციის სამუშაოებსაც.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით, წელსვე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო 2020 წლისთვის უზრუნველყოფს სარეაბილიტაციო-საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების 33 კოშკთან და მაჩუბთან ერთად ორი ეკლესიის (უშგულის ლამარიას ეკლესიისა და წმინდა კვირიკეს სახელობის ეკლესია) რესტავრაციას ითვალისწინებს. არსებული მონაცემებით, სვანეთში იდენტიფიცირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან, გადაუდებელ რეაბილიტაციას 150-მდე კოშკი და მაჩუბი საჭიროებს.

სიკეთისა და კაცობის ეტალონი

პოლკოვნიკი გივი ზურაშვილი 80 წლისაა

ძვირფასო ძმაო,

გილოცავთ მთელი სულითა და გულით. ბუნების კანონებს ვერ შევცვლით, თორემ შენისთანა კაცი არ უნდა ბერდებოდეს. სიყვარულის ქალაქ სიღნაღში დაბადებულს, ძნელად რომ ვინმე შეგედაროს საქართველოს სიყვარულში. უზღვავი სიკეთე გაქვს გაკეთებული განვლილ ცხოვრებაში და მომავალშიც შენგან მხოლოდ სითბოს მოველით. ღირსეული კვალი გაქვს დატოვებული შინაგან საქმეთა ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობისას — გარდაბნისა და ახმეტის რაიონებში, რესპუბლიკისა და თბილისის საგზაო პოლიციებში, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში, სადაც ერუდირებული ინჟინრისა და იურისტის სახელი დაიმკვიდრე. ყოველთვის გვიკვირს, როგორ ახერხებ, არც თუ იოლია პირადი ცხოვრების, შვილდაკარგული მამის საშინელი ბედისა და სულ ახლახან საყვარელი მეუღლის გარდაცვალების ტკივილის მქონემ, შენს ირგვლივ აფრქვიო ამხელა სიყვარული და მხოლოდ დადებითი ემოციები.

ძმაო, უპირველესად დიდი მადლობა ექვსი საუკეთესო, ღირსეული შვილის აღმზრდელ შენს სასახელო დედას, რომელმაც ამ ქვეყანაზე შენი სახით სიკეთისა და კაცობის ეტალონი მოავლინა.

იცოცხლე დიდხანს!

უახლოესი მეგობრები: გელა კობალაძე, გურამ გელენიძე, ლერი დობორჯგინიძე, ალეკო ოღლიშვილი, გივი სიხარულიძე, გია კორკოტაშვილი, თამაზ ანდღულაძე, ომარ მოსეშვილი, ზურაბ დარჩიაშვილი, დურმიშხან ასიტაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი შარაშიძე, ზურაბ კოპაძე, რეზო ნაცარიშვილი, რობერტ ცირეკიძე, გიკა საყვარელიძე, გივი მაზიაშვილი, თამაზ კორახაშვილი, მალხაზ ჭამბურიძე, ვასილ აბულაძე, გიორგი ტყავაძე, მანუჩარ ჩხიკვაძე, მინდია ბაიაშვილი, მურმან კოვზაძე, გურამ ზედგენიძე, ანგელატ რუსეიშვილი, ვაჟა სომხიშვილი, რობიზონ გოგილაშვილი, ოთარ გონაძე, რობერტ ფაილოძე, ემზარ ტყაბლაძე, დათო გიორგანაშვილი, კობა კობალაძე.

„ფეისბუქი“ მომხმარებლების საუბრებს უსმენდა

ამის შესახებ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელის მესვეურები ოფიციალურ განცხადებაში წერენ. განცხადება საინფორმაციო სააგენტო „ბლუმბერგმა“ 13 აგვისტოს გავრცელა. „ფეისბუქის“ ადმინისტრაცია აღიარებს, რომ მომხმარებელთა აუდიოგზავნილების გასაშიფრად სხვადასხვა კომპანიის მომსახურებით სარგებლობდა. ამასთან, სოციალურ ქსელში ამბობენ, რომ კლიენტების საუბრების მოსმენა და ჩაწერა, მხოლოდ მომხმარებელთა თანხმობით ხდებოდა და ამჟამად „ფეისბუქი“ ასეთ პრაქტიკას აღარ მიმართავს. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ანონიმური აუდიოგზავნილების გაშიფვრით „ფეისბუქი“ საკუთარი პროგრამის „ჩატ ბოტის“ეფექტურობას სწავლობდა.

„ისევე როგორც კომპანია „გუგლმა“ და „ეფლმა“, ჩვენც შევწყვიტეთ მომხმარებელთა აუდიოჩანაწერების ანალიზი და ამას უკვე ერთ კვირაზე მეტია, აღარ ვაკეთებთ“, — ნათქვამია „ფეისბუქის“ განცხადებაში. სოციალურ ქსელში განმარტეს, რომ აუდიოგზავნილების გაშიფვრის მიზანი **„სარეკლამო განცხადებების მომხმარებელთა მოთხოვნებზე მაქსიმალურად მორგება იყო“.** ივლისის ბოლოს აშშ-ის მარეგულირებელმა ორგანოებმა „ფეისბუქი“ მომხმარებელთა პირადი მონაცემების დაუცველობის გამო 5 მილიარდი დოლარით დააჯარიმეს.

ულოცავენ

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი და თამაზ გოგინაშვილი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების წევრს, საქართველოს მშენებელთა ბრწყინვალე საზოგადოების გამორჩეულ წარმომადგენელს, საკავშირო სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „თბილისის ელექტრო ძრავის“ გენერალური დირექტორის ყოფილ მოადგილეს მშენებლობაში, ძმობისა და მეგობრული სიყვარულის „ეტალონს“, უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

ვალერი ვარდოსანიძეს

ამირან დოლიძის ფილმი ლოკარნოს კინოფესტივალზე

ამირან დოლიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმის „ცხოველი“ პრემიერა ლოკარნოს კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში შედგება. ინფორმაციას საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ავრცელებს.



„ცხოველი“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია. იგი ახალგაზრდა, უმუშევარი კაცის შესახებ გვიყვება, რომელსაც რთულ პიროებებში უჭირს თავისი წესიერების შენარჩუნება. ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალი შვეიცარიაში 1946 წლიდან იმართება. იგი ცნობილია როგორც აღმოჩენების ფესტივალი.

საგანგებო ვითარება კუნძულ ევიაზე

საბერძნეთის კუნძულ ევიაზე ხანძრის სალიკვიდაციოდ იტალიამ ორი თვითმფრინავი გაგზავნა. საბერძნეთის სიდიდით მეორე კუნძულზე ფიჭვის ტყეში გაჩენილი ცეცხლის ჩაქრობას საბერძნეთის ექვსი თვითმფრინავი, ექვსი ვერტმფრენი და 200-ზე მეტი მეხანძრე ცდილობს.

ხელისუფლებამ ოთხი სოფლის და რამდენიმე ასეული ადამიანის ევაკუაცია განახორციელა. ხანძრის შედეგად წარმოქმნილმა კვამლმა საბერძნეთის დედაქალაქამდე მიაღწია. კუნძული ევია ათენიდან 110 კილომეტრში მდებარეობს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ცეცხლი 11 კილომეტრზე არის გავრცელებული. ხანძრის გავრცელებას ძლიერი ქარი უწყობს ხელს. სტიქიის ზონაში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს, 17 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.9090; ევრო - 3.2622;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5141;
100 რუბლი - 4.4424; თურქული ლირა - 0.5200;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7111;
1000 სომხური დრამი - 6.1049.

ამინდი 15 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+36
მთიანი რაიონები -	ღამე	+15,	დღე	+37
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+21,	დღე	+39
მთიანი რაიონები -	ღამე	+17,	დღე	+38
თბილისი:	ღამე	+21,	დღე	+35

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge